პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საგუბერნიო ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 34 (12546) | შაბათი, 9 თებერვალი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

8 თებერვალს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტთა მდივნებისა და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების პარტიულ კომიტეტთა მდივნების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა უფროსების, სამინისტროების, უწყებების, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის ხელმძღვანელი მუშაკების, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების თათბირი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. **ზ. გელდაშვილმა** გააკეთა მოხსენება — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების პარტიულ კომიტეტთა ამოცანები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, იმისათვის, რომ შესრულდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი 1963 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების შესახებ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: ზუგდიდის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. ქვარცხავამ**, ყვარლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. **გ. ზაუტაშვილმა**, გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს უფროსმა ამხ. **ი. ტოლიაშვილმა**, საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. **ვ. გელაშვილმა**, გარდაბნის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. **ვ. მირიანაშვილმა**, აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. **გ. ბერულავამ**, ჩაქვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსმა ამხ. **რ. სიორიძემ**, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრმა ამხ. **ი. ხოსლოვმა**.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. **შ. ი. ჭანუყვაძემ**.

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ**.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა **გ. დ. ჯავახიშვილმა, დ. ს. ზემლიანსკიმ**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ამხ. **ბ. გ. გიგიბერიამ**.

თათბირის ანგარიში გამოქვეყნდება გაზეთის უახლოეს ნომერში. (საქდესი)

ყუბანელებს—მხარდაჭერა!

ჩვენი დიდი გეგმა

ჩვენი კოლმეურნეები გასული წლის შედეგებს არ ემდურიან. გადაჭარბებით შევასრულეთ ჩაის ფოთლის კრეფის დავალება — სახელმწიფოს მივყიდეთ 584 ტონა „მწვანე ოქრო“, რაც რამდენიმე ათეული ტონით სჭარბობს შვიდწლედის გეგმას.

შესანიშნავი შედეგები გვაქვს ერთწლიანი კულტურების დარგვიც. 3.105 ცენტნერის ნაცვლად ვაწარმოეთ 3.159 ცენტნერი სიმინდის მარცვალი, მნიშვნელოვნად განვითარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა.

ჩვენმა კოლმეურნეებმა მხურვალედ მიიწონეს კრასნოდარის მხარის უსტლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს შრომელთა მიმართვა, რომლის პასუხად კოლმეურნეებმა კარგად აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და ერთსულოვნად იკისრეს წელს მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ სულ ცოტა 590 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ჰექტარზე აწარმოონ 10 ცენტნერით მეტი სიმინდი, ვიდრე შარშან, თვითეულ ძროხაზე მიიღონ 1.600 კილოგრამი რძე, ჩაის, სიმინდის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაზე მნიშვნელოვნად შეამცირონ შრომის დანახარჯი.

ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განხორციელებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ მეზობელი სოფლის — ასკანის კოლმეურნეობის წევრებს.

ს. მოქია,
მახარაძის ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს მთისპირის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

შეჯიბრების ძალა

1961 წელს ჰექტარ ყანას მარტო მოვუარე და 68 ცენტნერი სიმინდი (მარცვლად) ჩავაბარე კოლმეურნეობას. ჰექტარზე გადაუვანით 0,4 ჰექტარზე 320 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მივიღე. შარშან კი ჩემი სიმინდის ყანა ძლიერ დაზარალდა — ნიაღვარმა გადალეკა... ვდაობდით: გადაგვეხსნა თუ არა ყანა. ბოლოს შევთანხმდით, რომ არა. ყველა ზომა მივიღე, შემოტანილი ღორღისა და ფიჩხარისაგან გავასუფთავე, შლამი კი თანაბრად მოვფინე და... გვალვის მიუხედავად 48 ცენტნერი სიმინდი (მარცვლად) მაინც ჩავაბარე კოლმეურნეობას.

სამაგიეროდ უკეთ წავიდა საქმე ვენახში. ორი წელია 0,17 ჰექტარ ვენახს ვუვლი და მასში მთლიანად მოვსპე სიმეჩხერე. ადაწოდვნის წესით, ქერქის შეცლამ უფრო გააახლგაზრდავა და ნაყოფმრავალიც გახადა ვაზი. 2.640 კილოგრამი ყურძენი ჩავაბარე სახელმწიფოს. ეს ჰექტარ-ოდენობანგარიშებით 170 ცენტნერს შეადგენს.

გულდასმით გავეცანი კრასნოდარელთა წერილს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი. ყუბანელთა პასუხად კისრულობ: ჩემს მეუღლესთან ერთად მოვუარო (ურწყავზე) 1,5 ჰექტარ სიმინდს, 0,45 ჰექტარ შაქრის ჭარხალს და 0,17 ჰექტარ ვენახს. საიდანაც ჰექტარზე გადაუვანით მივიღებთ: 70 ცენტნერ სიმინდს, 320 ცენტნერ შაქრის ჭარხალს და 130 ცენტნერ ყურძენს.

შეჯიბრებაში კალვაც ვიწვევ თანასოფლელ კომუნისტს ივანე სარალიძეს და ხციხელ მესიმინდეს მიხეილ ლურსმანაშვილს.

ა. გრიგალაშვილი,
ხაშურის საწარმოო სამმართველოს სოფელ წრომის კოლმეურნეობის მესიმინდე.

სურათზე: მინერალური სასუქების მექანიზებული შეტანა გალის რაიონის აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.

ფოტო ს. კოროტკოვისა.

რაც ქვირფას პროდუქტებს — პროდუქტიულობას

ფრინველი ძვირფას პროდუქტებს იძლევა. იგი სწრაფად იზრდება, მისი გაზრდა კი ძვირი არ ჯდება. ამიტომ არის, რომ თეთრი წყაროს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს გადაწყვიტეს ფართოდ გაბავშვითარონ მეფრინველეობა. ამ მიზნით რაიონში შექმნა საინკუბატორო სადგურები, აშენდა ახალი ტიპის საფრინველეები.

წელს თეთრწყაროელმა მეფრინველეებმა ინკუბატორებიდან უნდა გაიყვანონ და გაზარდონ 120.000 ფრთა წიწილა. წლის ბოლოსათვის მათ უნდა ჰყავდეთ 30.000 ფრთა კვერცხმდებელი ქათამი.

მეფრინველეობის განვითარებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კოდის, სამშვილდის, დურნუკის, ბორბალოს და ჯორჯიაშვილის კოლმეურნეობები. მათ საინკუბატორო სადგურებიდან უკვე გაიყვანეს 17.000 წიწილა. გადაწყვეტილი აქვთ დაამზადონ ადგილად გადასატანი საფრინველეები. ეს საშუალებას იძლევა ზაფხულის პერიოდში ფრინველი (მოსავლის აღების შემდეგ) მინდორში გადაიყვანონ. ამით შემცირდება საკვების ხარჯვა და წარმოებული პროდუქციის თვითღირებულება.

თეთრწყაროელები ითვალისწინებენ ფერმებთან ახლომდებარე ნაკვეთებში დათესონ მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახები. ეს უზრუნველყოფს ფრინველს ვიტამინური საკვებით.

ვ. ჟურდიანი.

შრომის ცეცხლი

შრომითი ცეცხლი ანთია „საქსოფლტექნიკის“ ცხაკაიის განყოფილების სახელოსნოებში, აქ შეკეთებულია 59 ტრაქტორი ნაცვლად 49-ისა. ამასთან 4 ტრაქტორი შეუკეთეს ვედიდკარის საბჭოთა მეურნეობას. ცხაკაიელი მექანიზატორები ყველაფერს აკეთებენ ყუბანელთა მაგალითით გაჩაღებულ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების შეკეთებაზე მაღალნაყოფიერად იმუშავეს ძრავების, სავალი ნაწილების, მთავარი და გვერდითი გადაცემების შემკეთებელმა ბრიგადებმა. აღსანიშნავია აგრეთვე ხარატის ა. ჩიმიას, შემდუღებლის გ. ალანიას, ზეინკლის ლ. ჯანტურიას, მუშების კ. მიშველიას, ს. კოკაიას ენერგიული მუშაობა.

საბჭედლოშიც შევიარეთ. ელექტროქურაში პნევმატური ურო მძლავრად უტტყამდა გავარვარებულ რკინას. იჭედებოდა ტრაქტორის ნაწილები, შვიდწლედის მეხუთე წლის უხვი მოსავლის იარაღები. ამ საქმის თავკაცი მჭედელი ო. სახოკია იყო.

„საქსოფლტექნიკის“ ცხაკაიის განყოფილებას უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სარემონტო სახელოსნო აქვს. აქ არის ძვირფასი დაზგა-დანადგარები, ძრავების და სადიზელო საწვავი აპარატურის გასასინჯი ელექტროსტენდი, ძრავების გასარეცი აგრეგატი, სახარატო დაზგები და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მზად არის საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის. მექანიზატორები ემზადებიან შრომის ფრონტზე ახალი შეტევისათვის.

ს. კუჭავა.

ყველა ქვეყნის პროლეტარებნო, გაერთიანდით!

ტექნიკის დიდი ასპარეზი

საიდან იციან მანქანების ფასი

მოძველებული მანქანები წარმოების ბორკილია,— ზნრად გაიგონებთ თბილისს აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. აქ კარგად იციან, რა სარგებლობას აძლევს წარმოებას ახალი მანქანების გამოყენება, შრომის მოწინავე ტექნოლოგიური პროცესების დანერგვა. იციან ეს ამიტომაც დაუცხრომლად ზრუნავენ ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, ცდილობენ წარმოებაში გამოიყენონ შრომის საუკეთესო მეთოდები. ამ გზით სვლამ ფაბრიკის კოლექტივი მოწინავე საწარმოთა რიგებში ჩაყენა. ფაბრიკაში ყოველწლიურად იზრდება პროდუქციის წარმოების მოცულობა, მცირდება მისი თვითღირებულება, მაღლდება შრომის ნაყოფიერება, აფდალდება შრომა. ფაბრიკის კოლექტივი გაბედულად მიიწევს წინ ახალი ზღუდეების დასაპყრობად.

ბევრი ახალი დანადგარი შეემატა ფაბრიკას. მათ შორის აღსანიშნავია ქსოვილის მოსახვევი მანქანა. ვინც აბრეშუმის ქსოვის წარმოებას იცნობს, მას უნახავს, რომ ეს პროცესი ხელით სრულდება და დიდად შრომატევადია. ახლა კი ტექნიკამ იკისრა ამ ძნიმე ფიზიკური შრომის შესრულება. მარტო ამ ერთი მანქანის დანერგვა ფაბრიკას ყოველწლიურად 27.125 მანეთს დაუზოგავს. 29 მუშა განთავისუფლდა მოძველებული შრომისაგან. ისინი სხვა სამუშაოზე არიან გამოყენებული.

ახალ მანქანებს ნახავთ საქსოვ, სამღებრო, მოსამზადებელ და სხვა საამქროებში. ყველა მათგანი გამართულად მუშაობს. ეს სამაგალითო მრეწველობის მანქანებია. წუნს ვერ დასდებთ მუშაობაში.

მეაბრეშუმეები მიღწეულს არ სჯერდებიან. წელს უფრო მეტს გაკეთებთ გაანიზრახეს. პირველ კვარტალში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი ტიპის სახამებელი მანქანა. დასახულია მთელი რიგი მოძველებული დანადგარების შეცვლა ახლით, რომელთა გამოყენება დიდად დაეხმარება ფაბრიკის კოლექტივს რენტაბელურ და რიტმულ მუშაობაში. (საკ. კორ.).

რეზერვების ამოქმედებით

ქუთაისი. (საკ. კორ). ლტბოპონის ქარხნის კოლექტივმა მხურვალედ დაუჭირა მხარი გორკის ოლქის ქიმიური და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა ინიციატივას.

ქუთაისელმა ქიმიკოსებმა გადაწყვიტეს ოლქისთვის შეუწყონ ხელი მშენებლობა ასი ქიმიური ობიექტების ვადამდე მოშენებაში. ამასთან შიდარეზერვების ამოქმედების გზით, ქარხნის საშუალებით გააფართოონ შაბიამნის მოქმედი საამქრო და ამით წელსვე უზრუნველყონ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დაკმაყოფილება ამ ძვირფასი ქიმიური პროდუქციით.

ქუთაისელმა ქიმიკოსებმა მიზნად დაისახეს წელსვე 10 პროცენტით გაადიდონ ლბიამნის გამოშვება, ხოლო მომავალი წლის დამდეგიდან — 30 პროცენტით. ეს იკისრეს გადამდე შეასრულონ 1963 წლის გეგმა და დავალებასთან შედარებით 3 პროცენტით გაადიდონ შშრალი ლტბამნის წარმოება, ხოლო 15 პროცენტით — ლაქ-საღებავებისა.

ამ ვალდებულებათა შესასრულებლად ქარხნის კოლექტივი ყოველი ღონისძიებით ეხმარება საწარმოო პროცესების ავტომატიზაციას, მექანიზაციას და გაბედულად ნერგავს მოწინავე ტექნოლოგიას.

კარგია! — ამბობს მომხმარებელი

ხშირად გამოთქვამდნენ საყვედურს თბილისის პლასტმასის ქარხნის ზოგიერთი უხარისხო პროდუქციის გამო. მართლაც, ქარხანაშიადგილი ჰქონდა წუნდებული და უხარისხო პროდუქციის გამოშვებას. ამან დააფიქრა ქარხნის ხელმძღვანელობა. გამონახეს გზები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და წუნის შემცირებას დიდად შეუწყო ხელი პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიური პროცესის მართვისა და სიგნალიზაციის ავტომატურმა მანქანამ, რომელიც ქარხანაში დაიდგა.

ეს ახალი დანადგარი მომსახურებას უწევს 60 ჰიდრავლიკურ წნეხს და ავტომატურად იცავს წარმოების ტექნოლოგიურ პროცესს, ამ პროცესის დარღვევის შემთხვევაში კი სიგნალს იძლევა ზომების მისაღებად. დაგეგმილია წელს ეს სიახლე ყველა ჰიდრავლიკურ წნეხზე დაინერგოს.

ამ დანადგარის გამოყენებამ მინიმუმამდე დაიყვანა წუნი და შესამჩნევად გაზარდა პროდუქციის ხარისხი. ახლა კი ქარხნის პროდუქციას წუნს ვეღარ სდებენ.

— კარგია, — ამბობს მომხმარებელი.

მ. ნანოგაშვილი,
საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე.

ხარჯები შემცირებულია

თბილისის კოტონ-წინდის ფაბრიკა-კომბინატი ყურადღებას უთმობენ შრომის ორგანიზაციის და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებას. საქსოვი და ტრიკოტაჟი საამქრო ერთ დარბაზში იყო მოთავსებული, რაც დიდ გავლენას ახდენდა ამ ორივე საამქროს მუშაობის ხარისხზე და მოცულობის წარმადობაზე. მას შემდეგ, რაც ტრიკოტაჟი საამქრო ცალკე ოთახში ისე, რომ წარმოების ტერიტორია არ გაფართოებულა, ორივე საამქროს მანქანების დატვირთვა შეეფერებოდა გაიზარდა. წინა პერიოდთან შედარებით ქსოვის ხარისხი ორი პროცენტით ამაღლდა. ნაკლოვანებიანი პროდუქციის შესანაცვლებლად ერთ საწყობიდან მეორეში ერთიანებამ კი არა მარტო პროდუქციის ხარისხი გააუმჯობესა, არამედ საწარმოო ფართობი დანახარჯებიც შეამცირა.

წელს ფაბრიკაში გათვალისწინებულია ძველი რიგი ახალი მანქანების დადგმა. საქართველოს საფეიქროელეტრო სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა წინდების გამომშვები უნიკალური ავტომატური ... პროექტა კონვეიერის მოწყობა, რომლის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ მუშაობა ორის ნაცვლად ერთ ცვლად იწარმოებს. აღმოიფხვრება წინდების რამდენჯერმე გადათვლა. შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 20 პროცენტით. ახლა საჭიროა ამ კონვეიერის მოწყობის სამუშაოთა დაჩქარება.

თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის კოლექტივი მუშაობს ახალი პროდუქციის ზა-150 და ზა-110 ტიპის ჩარხების ათვისებაზე. ამასთან ერთად საქარხანოში გრძელდება ჩარხების 311-ომ გამოშვება მრგვალი დეტალების გასახეხად. **სურათზე:** საამწყობო უბნის ოსტატი რ. მეხუზლა (მარჯვნივ) და ზეინკალი ნაფეტვარიძე აწყობენ მორიგ მრგვალსახეს ჩარხს 311-ომ.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

ჯილდოები არხების მშენებლებს

ჩრდილოეთ დონეცდონბასისა და დნეპრ-კრივოი როგის არხების მშენებლობის დროს მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1963 წლის 7 თებერვლის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა უკრაინის სსრ სამონტაჟო და სპეციალურ, სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროსა და სხვა ორგანიზაციების 385 მუშა, ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, რომლებმაც უველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია 12 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 47, „საპატიო ნიშნის“ ორდენით— 102, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 119 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 105 კაცი.

ახალი ჟურნალი „კოლხოზნო-სოვხოზნოე პროიზვოდსტვო“

მოსკოვი, 7 თებერვალი. (საკდესი) გამოვიდა დიდი დასურათებული ჟურნალის „კოლხოზნო-სოვხოზნოე პროიზვოდსტვოს“ პირველი ნომერი. ჟურნალი გათვალისწინებულია ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოთა მუშაკებისათვის, მეურნეობის ხელმძღვანელების, სპეციალისტების, სოფლის ყველა მშრომელისათვის.

ჟურნალი შეიქმნა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივით. ჟურნალს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს საბჭოთა მთავრობის მეთაურის სიტყვები: „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოება დღეს კომუნისტური მშენებლობის დამკვრელური ფრონტია“.

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“

გუშინ გამოვიდა და ხელისმომწერლებს დაურიგდათ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ყოველკვირეული ორგანო გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, რომელიც ადრე „ლიტერატურული გაზეთის“ სახელწოდებით გამოდიოდა.

ნომერი დაბეჭდილია ორი ფერით, მასში მოთავსებულია: კ. გამსახურდიას წერილი „დ. დემორეანი“, ს. კლდიაშვილის ახალი რომანის ნაწყვეტი „პირველი თოვლი“, ლ. სულაბერიძის ნარკვევი „ფართო ნაბიჯებით“, ი. ქართველიშვილის ტელეფონით სუბარი საბჭოთა კავშირის გმირ ი. პავლოვთან, ვოლგაზე ბრძოლების მონაწილე ქართველი პოეტების ვ. გორგაძელისა და ა. გეწაძის ლექსები, საუბარი საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე ხ. ლეჟავასთან, მხატვართა ნაწარმოებების გამოფენის გამო და სხვ.

გაზეთის რედაქტორია **იოსებ ნონეშვილი.**

სამხედრო გადატრიალება ერაყში

პარიზი, 8 თებერვალი. (საკდესი). დღეს ადრე დილით ერაყში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, იუწყება ფრანს პრესის სააგენტო. არმიის ოფიცრებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება და გამოაცხადეს, რომ შეიქმნა ერაყის რევოლუციის ეროვნული საბჭო. პირველ კომუნიკეში ამ საბჭომ განაცხადა, რომ „მისი ამოცანაა მიღწეულ იქნეს 1958 წლის 14 ივლისის რევოლუციის ეროვნული მიზნები“.

აჯანყებულებს მიემხრნენ ჰაბანიისა და კირკუკის გარნიზონები.

ეროვნული საბჭოს გადაწყვეტილებით დათხოვნილია 18 მაღალი თანამდებობის ოფიცერი, მათ შორის ყოფილი სამხედრო გუბერნატორი აბედ სალაჰ აბდი. თუ რა ბედი ეწია პრემიერ-მინისტრ ყასემს არ არის ცნობილი.

ცეცხლი დაუშინეს დაქირავებულებს

კაირო, 8 თებერვალი. (საკდესი). გუშინ დაქირავებულთა დიდი ჯგუფი კვლავ შეეცადა შეეჭოლიყო იემენის არაბთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრიდან, იუწყება მენის საგეტოს კორესპონდენტი სანაგან. ცნობაში ნათქვამია, რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკასა და იემენის გაერთიანებული სასაზღვრო ჯარების ქვეგანაყოფებმა ცეცხლი დაუშინეს დაქირავებულებს. დახოცეს ასამდე დაქირავებული, ხელთ იგდეს მოწინააღმდეგის დიდძალი სომარი მასალა.

უნდოლბლოგის ვოტუმი

ლონდონი, 8 თებერვალი. (საკდესი). ლეიბორისტული პარტიის ხელმძღვანელობამ პარლამენტში შეიტანა მთავრობის უნდობლობის რეზოლუციის პროექტი, რომელსაც განიხილავენ თემთა პალატაში 11-12 თებერვალს ბრიუსელის მოლაპარაკების ჩაშლის საკითხზე კამათის დროს.

მოსალოდნელია მეორე ტური

ლონდონი, 8 თებერვალი. (საკდესი). გუშინ აქ მიმდინარეობდა ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ლიდერის არჩევნები ჰ. გეიტსკელის გარდაცვალებასთან დაკავშირებთან. არჩევნებში მონაწილეობდნენ თემთა პალატის წევრი ლეიბორისტები. ყველაზე მეტი ხმა — 115 მიიღო ჰაროლდ ვილსონმა, ორმა სხვა კანდიდატმა — ჯორჯ ბრაუნმა და ჯეიმს კალაგენმა — მოაგროვეს შესაბამისად 88 და 41 ხმა.

პარტიის წესდების თანახმად, ლიდერი შეიძლება გახდეს მხოლოდ კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს ხმების ნახევარზე მეტს, ამასთან დაკავშირებით ლიდერის არჩევის საკითხი გადაიჭრება კენჭის ყრის მეორე ტურში შემდეგ წესდება ითვალისწინებს, რომ მეორე ტურში მონაწილეობის მიღებას შეძლებს მხოლოდ ორი კანდიდატი, რომლებმაც მოაგროვეს ხმების მაქსიმუმი.

„ტრიბუნი“ აკრიტიკებს

ლონდონი, 8 თებერვალი. (საკდესი). ლეიბორისტული ყოველკვირეული „ტრიბუნი“ აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას მოლაპარაკებაზე ატომური იარაღის გამოცდების აკრძალვის შესახებ.

ყველასათვის ცხადია, წერს „ტრიბუნი“, რომ, როცა საბჭოთა კავშირმა ანგარიში გაუწია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს ინსპექციის საკითხში, შეერთებულმა შტატებმა სიტყვა გადათქვეს. უთანხმოებანი ინსპექციის რიცხვის გამო, რაც ადვილად შეიძლებოდა მოწესრიგებულიყო, თუ კი კეთილი ნება იქნებოდა, ამერიკის შეერთებული შტატების გამო დაუძლეველ დაბრკოლებად გადაიქცა.

ინგლისის დელეგაციას სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელთა მოლაპარაკებაზე ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში ატომური იარაღის გამოცდების აკრძალვის საკითხზე, ხაზს უსვამს ყოველკვირეული, არავითარი კონსტრუქციული წვლილი არ შეუტანია და მხოლოდ მხარს უჭერდა ამერიკელთა პოზიციას.

ახლა ნეიტრალურმა ქვეყნებმა 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში, აცხადებს „ტრიბუნი“, უნდა მოითხოვონ, რომ საბჭოთა კავშირს დათმობები ღირსეულად შეაფასონ და რომ დაიდოს ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდების აკრძალვის შესახებ.

ბრაზილიის მძიმე მდგომარეობა

რიო-დე-ჟანეირო, 8 თებერვალი. (საკდესი). ბრაზილიის ფინანსთა მინისტრმა სანტიაგო დანტასმა, რომელიც ტელევიზიით გამოვიდა, განაცხადა, რომ 1963 წელი ბრაზილიის ეკონომიური აღდგენისა და ეფექტიანი განვითარების წელი იქნება. მთავრობის ძირითადი მიზანია, თქვა მან, კომუნალური მეურნეობის საწარმოთა ნაციონალიზაცია, ბრძოლა ინფლაციის წინააღმდეგ და სხვ.

ბრაზილიის მდგომარეობა, განაგრძო დანტასმა, მძიმეა. პარლამენტარიზმის ყველაზე ცუდი მემკვიდრეობაა, ხაზი გაუსვა მან, ინფლაციის განუწყვეტელი ზრდა. შარშან ქაღალდის ფულის ნიშნების რაოდენობა მიმოქცევაში 314 მილიარდი კრუზეიროდან გადიდდა 503 მილიარდამდე.

დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-კუბის სავაჭრო მოლაპარაკება

1962 წლის დეკემბერ-1963 წლის იანვარში მოსკოვში საბჭოთა მთავრობის დელეგაცია და კუბის მთავრობის სავაჭრო დელეგაცია აწარმოებდნენ მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის სავაჭრო-ეკონომიური თანამშრომლობის საკითხებზე.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა ძმური თანამშრომლობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში და დამთავრდა იმით, რომ 6 თებერვალს ხელი მოაწერეს ოქმს სსრ კავშირსა და კუბის რესპუბლიკას შორის 1963 წლის საქონელბრუნვის შესახებ.

ამ ოქმის შესაბამისად საბჭოთა კავშირი კუბას მიაწვდის ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს, შავ და ფერად ლითონებს, სასუქს, ქიმიურ საქონელს, დახერხილ მასალას, ცელულოზას, ქაღალდს, ბამბას, სხვადასხვა მანქანას, მოწყობილობას, ინსტრუმენტს, ხორბალს, ხორბლის ფქვილს, ცხოველურ და მცენარეულ ცხიმს, ხორცის კონსერვებს, მედიკამენტებსა და ბეერ სხვა საქონელს, რომლებსაც გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვთ, რათა წარმატებით შესრულონ კუბის მთავრობის მიერ დასახული ამოცანა—გაადიდონ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და მოსახლეობის მომარაგება.

კუბა 1963 წელს საბჭოთა კავშირს მოაწვდის შაქარს, სპირტს, ნიკელის შემცველ პროდუქციას, თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმს და სხვა საქონელს, რომელიც საინტერესოა სსრ კავშირისათვის.

საბჭოთა კავშირს სურს ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი კუბის ეკონომიკის განვითარებას და იმ ეკონომიური ბლოკადის დაძლევას, რასაც ამერიკის შეერთებული ტატების მთავრობა აბორიგელებს კუბის მიმართ, და იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა საქონლის მიწოდების ღირებულება აღემატება კუბის საქონლის მიწოდების ღირებულებას, გადაწყვიტა მისცეს კუბას 1963 წელს გრძელვადიანი კრედიტი შეღავათიან პირობებში,

კუბის მთავრობის სავაჭრო დელეგაციის ყოფნის დროს მოსკოვში ხელი მოაწერეს აგრეთვე ოქმს სსრ კავშირისა და კუბის რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციებს შორის საქონლის მიწოდების საერთო პირობების შესახებ, აგრეთვე გახიხლეს მთელი რიგი სხვა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ორი ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასთან, კერძოდ, ის საკითხი, რომ დახმარება გაეწიოს კუბას მის მიერ გაყიდული და მოსყიდული საქონლის ტრანსპორტირებაში.

იმ გარემოებამ, რომ საბჭოთა კავშირმა კრედიტი მისცა კუბას და აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებებს საქონელზე, რომელსაც საარსებო მნიშვნელობა აქვს კუბისათვის, ორივე მხარის აზრით, შესაძლოა და კეთილად შეასრულებს დიდმნიშვნელოვან როლს კუბის ეროვნული ეკონომიკის განმტკიცებასა და მოსახლეობის მომარაგებაში.

ორივე მხარემ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ შეთანხმება, რომელიც მიღწეულია საბჭოთა კავშირ-კუბის მოლაპარაკების დროს საბჭოთა კავშირსა და კუბის რესპუბლიკას შორის 1963 წლის საქონელბრუნვის შესახებ, ახალი დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება ამური მეგობრობის განმტკიცებისა და თანამშრომლობის განვითარების საქმეში ამ ორი ქვეყნის ხალხებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის.

(საკდესი).

გაიგეთ თითბო!

ნარკვევი

ამოვარდა აშარი ჭარი და ბავშვივით იატაცა იგი, გორაკის კალთას მიანარცხა, თოვლის სირბილე შეიგრძნო, ფართოდ გაახილა თვალები, აფორიაქებულ სიერცეს გახედა. ნოლაეთზე ბრუნავდა ქარით არეული თოვლის ფოფქები.

— ვაი დედასა! — სიმწრით აღმოხდა ვაუკაცს. გათოშილი თითებით მოფხუჭნა თოვლი, წამოდგომა სცადა, წამოიმართა კიდეევაც... მაგრამ ქარმა სძლია და მოკრილ ხესავით დასცა.

წუთით დაბნელდა ყველაფერი, სხეულში ტკივილმა იმატა, სიცივე მკერდს უხვრეტდა, გულს ყინულის არტახებს უჭერდა. ენა ალარ ემორჩილებოდა, მაინც სამწყემსოსაკენ გასწია, მიწას მოსწყდა. წავიდა წინ.

თეთრმა ფარამ გადაირბინა ველი. ერთიმეორეს აწყდებოდნენ ცხვრები, თავდაყირა გადადიოდნენ მიწაზე, ფეხის მოკიდებას ვერ ახერხებდნენ.

კაცმა გორაკი შეუმჩნეველად მოიტოვა უკან. პატარა ხრამთან მიყუჟულ ფარას მიაშურა, შავი ბოხოხი აიქნია, ბოხი ხმით შეეხმიანა ცხვრებს, ბინისაკენ შემოტრიალდა პირუტყვი.

მწყემსმა აჩრი მოიკრიბა, გაფაციცებით დააკვირდა ფარას. გოცდა... მის წინაშე ფარის ნახევარიც ალარ იყო. ან ამხანაგი რა იქნა? იგი ხმამ წინ მიუძღოდა სამწყემსოს... ქვანაკრავივით შემოტრიალდა, ტყვიის სისწრაფით აკარი მაღლობზე, ათრთოლებული ხმით გასძახა სივრცეს...

ჩითქოს ადამიანის აღელვებას უცდიდო, ანალი ძალით ადმუვლდა ქარიშხალი, გამხმარი ყვავილივით მოგლიჯა გორაკს მოწინააღმდეგე. ისევ რბილი და ცივი კალთა მოხვდა ხელში მეცხვარეს. მკერდით დაიწყვა თოვლს. მარცხენა ხელით მოიწმინდა ოფლიანი შუბლი. დაქანცულობა იგრძნო.

ქარიშხალთან ბრძოლაში დალეულიყო დღე. ყორნისფერი ღამე ხითხითიდა ტრამალების გათოშილ უბანში. აღარც ფარა... აღარც ამხანაგი... აღარც მშველელი... სიზმარივით იგონებდა განვლილ დღეს ცის ქვეშ მიტოვებული ადამიანი.

...დილით როდი იყო საშიში ამინდი. მწყემსებმა ფარა ბინის ახლო მდებარე საძოვრებზე გარეკეს. პირუტყვი მადიანად ოოდა ხმელ ბალახს. მეცხვარეები მხიარულობდნენ. 20 წლის ჭაბუკმა პეტრე პლიევმა სალამურიც კი ააწკრიალა.

ხალისიანი დღე საბედისწერო გამოდგა. მზემ საშუადღის გადაბიჯა თუ არა, ქარმა იმძლავრა და გრიგალად იქცა. ათასექვსასი სულისაგან შემდგარი ფარა ზღვის ტალღებივით აბობოქრა, აამხედრა. მწყემსებმა ცხვარს რამდენჯერმე გადაუკეტეს გზა. ქარის მიმართულებით არ უშვებდნენ, ბინაში დაბრუნება უნდოდათ.

პეტრე წინ მიუძღოდა ფარას. ერთხანს კიდევაც გაიყოლია იგი, მაგრამ გრიგალმა თავისი გაიტანა, აღმოსავლეთისაკენ გაირეკა ცხვარი, 60 კილომეტრით დააშორა ბინას.

„აღარც ცხვარი... აღარც ამხანაგი... აღარც მშველელი“... გაშმაგებული ოხრავდა ბორის კასავი და წყევლას უთვლიდა ღამესა და ქარიშხალს. ძალა გამოელია. ადგილი არ იყო ქარიშხალთან ბრძოლა. სხეული ეყინებოდა. სიცოცხლის სიყვარულმა ენერგია დაუბრუნა მეცხვარეს. დაკოჟრილი ხელებით მიმოსწია თოვლის გროვა. ყინულით დასერილი თითებიდან თბილი სისხლი მოწვეთავდა.

პირდაღებული ორმო ბორისს თავისაკენ უხმობდა. აკანკალებული ხელით შეიხვია ფარაჯა, თავლებზე ჩამოიფხატა ფაფახი და დაქანცული თოვლში ჩაგორდა. სითბო იგრძნო. გაახსენდა გამოცდილი მონადირეების ნათქვამი: „თოვლის ლოგინი გაყინვისაგან კაცს იხსნისო“... კვლავ ფიქრებმა წაიღეს.

შინ ეგულებოდა ახალგაზრდა მეულლე... ორი წლის ვაჟაშვილი ფილიპე. ისინი როგორ წარმოიდგენენ ბორისს ასეთ მდგომარეობაში. მეცხვარეს ხმა ალარ ესმოდა. ... ოთახებსა და სუფთა ლოგინში იძინებენ. ეს კარგად იცის ბორისის მეუღლემ, ეს კარგად იცის პეტრე პლიევის დედამ — ჩაბალამაც, რომელმაც მამით უდროოდ დაობლებული შვილი მზრუნველობით გაზარდა და დღეს მისი შრომით ამაყობს.

„ვინ იცის, სად არის პეტრე, ვაი თუ ქარიშხალმა ზღვასთან მიაგდო. ეს ხომ სიკვდილის ნიშნავს. ზღვის ფსკერზე უნდა ვეძებოთ ისიც და ფარაც“. ძლიერად გაიქნია თავი ბორისმა, ამაზრზენი ფიქრების მოცილება სცადა.

— არა, პეტრე არ მოკვდება. ჩვენ სიკვდილი არ გვიწერია. სიკვდილი დამარცხდება სიმამაცის წინაშე. ამხანაგები აუცილებლივ მოგვძებნიან! — ხმამაღლა წამოიძახა მეცხვარემ, მისი ისედაც ხმა სიცოცხლის პანგვით გაისმა უდაბურ ტრამალზე. აბობოქრდა ბორისი, ადგომა უნდოდა, მაგრამ ძალა არ ეყო. რძისფერ ბურუსში გახვეულ მწყემსს თოვლის ლოგინში ღრმად ჩაეძინა.

ზმანებებმა გამოაღვიძეს იგი, შეიშმუშნა. განძრეცა სცადა. მაგრამ ამაოდ. ქარს თოვლის სქელი სბანი გადაეფარებინა „სტუმრისათვის“, სიცივისაგან დაეფარა, თითქოს ამით უნდა დანაშაულის გამოსყიდვაო.

მეცხვარემ მეხსიერებაში სწრაფად აღადგინა წარსული დღის ამბავი, ვეფხური შემართებით წამოიწია, თოვლის საბურველი ამოხეთქა და მოკრძალებით შეხედა ნათელ დილას, ქარიშხალი ალარ შმაგობდა გუშინდებურად.

ბორის კასავემა ტანსაცმელი ჩამოიბერტყა და აღმოსავლეთისაკენ გაჰყვა თვალუწვდენელ ველს. მეგობრისა და ცხვრის ძებნას შეუდგა.

შორიდან ულრუბლო ცასავით ელავდა კასპიის ზღვა. ქარის სისინს ჰფარავდა მისი ტალღების გუგუნი. ბორისმა ქვეშიან ნაპირს მიაღწია. საგულდაგულოდ ეძებდა პირუტყვის კვალს, კაცის ნაფეხურებს. ეძებდა და ამბობდა. ქვიშას არავითარი ნიშანწყალი არ ეტყობოდა. მაინც ფეხაკრეფით გაჰყვა წყლის ნაპირს. მიდიოდა და ზღვასავით ბობოქრობდა. ხმის ჩახლჩამდე უხმობდა მეგობარს...

თოვლიან ველებზე ხეტიალში სამმა დღემ გაიარა. საგზალი გამოელია, გზაც დაებნა. ალარ იცოდა, სად იმყოფებოდა, საით იყო მათი ბინა. არც ერთი სულდგმული არ ჰაჯანებდა ბორუზიკისა და პაკრესის მიდამოებში. ქარიშხლის შიშით ყველაფერი მიყუჩებულიყო.

იგი კი კვლავ მიდიოდა და მოდიოდა. აკეთ-იქით აცეცებდა დაღლილ თვალებს. ძალად აღვიჯებდა იმედის ნაპერწკალს, რომელიც შიშშილის ცეცხლით იფერფლებოდა. მუხლები მოეკეთა. მკლავები მოსხეპილიყვნ დაეშვნენ ძირს. წაიჩოქა და ვეღარც წამოდგა... გზითა და შიშშილით დაოსებულმა გონება დაკარგა.

...ბორისმა უხალისოდ გაახილა თვალები. ადგილსამყოფელი ეცნაურა. თეთრი კედლები... თეთრხალათიანი ადამიანები... სითბო და სიმყუდროვე... ყველაფერი ეს მოჩვენებად ჩათვალა. თვალები დახუჭა. ნაცნობი ხმა შემოესმა. ყურებს არ დაუჯერა. მერე ხელის შეხებაც იგრძნო მკლავზე. გამოიხედა, მხარგვერდზე წამოჯდა. ლოგინთან მდგომს გაოცებით დაეშტერდა, ძლივს ამოიხრიალა: „ბიჭო, აქ სადა ვარ?...“ და ბალიშზე უღონოდ გადაწვა...

რამდენიმე წუთის შემდეგ ცრემლმოფენილი ბორისი მთელი გულისყურით უსმენდა პეტრე პლიევს.

...ფარას მოწყვეტილი ჯაბუკი 662 ცხვართან ერთად ქარიშხლმა შორს მშრალი კუმისაკენ გადააგდო. მთელი დღეღამე ტრამალში დაბორიალობდა, სიცივისაგან ძაღლაგებდა. მაგრამ მაინც გულმოდგინედ იცავდა კოლმეურნეობის ცხვარს. იგი მოულოდნელად დაღისტნელ მწყემსელს წაეწყდა, მდგომარეობა აუხსნა და დახმარება სთხოვა.

კობელი მეცხვარე და მისი სამწყემსო სამ დღეს შეინახეს დაღესტნელებმა. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყიზლარის საზამთრო საძოვრების სამმართველოს უფროსმა მიხეილ გელაშვილმა მეოთხე დღეს მიაგნო პეტრე პლიევის კვალს.

ამავე დღეს კობის კოლმეურნეობის მწყემსი ფილიპე ქცოევი ტრამალების სიღრმეში წააწყდა ცოცხალმკვდარ ბორისს და სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანა, მისი ფარა კი დაღესტნის ავტონომიური რესპუბლიკის ჩაროდინის კოლმეურნეობის ფარასთან აღმოჩნდა. ალალ ადამიანებს უდანაკარგოდ შეენახათ ქარიშხლისაგან მოტაცებული პირუტყვი. გამართლდა ბორისის წინასწარმეტყველება — სიკვდილი დამარცხდა.

...ამ საინტერესო და ამადელვებელი ამბის შემდეგ კარგი დრო გავიდა. მაგრამ ქარიშხალთან მებრძოლთ რა დაავიწყეთ ნახულს და განცდილს. ისინი თამამად დაანჯღრევენ იქ, სადაც სიკვდილი კალთაზე ეთამაშებოდათ და მგონიათ, რომ ეს ყველაფერი გუშინ მოხდა. გულს კი ამა როგორ გაიტენენ.

დღეები დღეებს მიჰყვებიან. მიჰყვებიან და ახალ სასიხარულო მიღწევებს ფურცლავენ. წელს ნოლაეთში შესანიშნავად იზამთრეს საქართველოს რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცხვარი. მოწინავეთა შორის დგანან ჩვენი გმირები — პეტრე და ბორისი. მათ დოლისათვის ათას ორასი ნერბი მოამზადეს და ამდენივე ბატკნის გამოზრდა იკისრეს...

ნოლაეთის ტრამალებზე ზღვის ტალღებივით ირწევიან ფარები. მეცხვარეები სიმიდოდ სდარაჯობენ სამწყემსოს. ერთიმეორის ჯირსა და ლხინს იზიარებენ ქართველები, ოსები, დაღესტნელები, ქისტები... საბჭოთა ერების ძმურ ოჯახში თავს არავინ ზოგავს მეცხვარეობის განვითარებისათვის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის.

პეტრე პლიევს და ბორის კასავეს საუკეთესო მეგობრობა აქვთ ჩაროდინის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მუშაკებთან. ხშირად ხვდებიან ამ საამაყო მეზობლებს და სიკეთეს სიკეთით უხდიან. მზად არიან თავიც კი გასწირონ გულმართალი ადამიანებისათვის.

მამაცი ვაუკაცები არასდროს არ დამარცხდებიან, მათი ამბავი საამაყო და სასახელოა.

გაიგეთ მთებო, ჟღალჩოხიანო ტრამალებო, თქვენი შვილების თავგადასავალი...

გიორგი გიგაური.

საზოგადოების მკაცრი კონტროლი ბიულეტენი

„ოლქი“ მიზანს აღწევს

გაზეთის სიგნალებზე ზომები მიღებულია

კრიტიკულ წერილში „სიტყვა ტკბილი, საქმე ძვირი“... რომელიც „კომუნისტში“ (№ 9) დაიბეჭდა, ლაპარაკი იყო თელავის რაიონის სოფელ საბეროს ნაკლოვანებებზე. წერილის ავტორი **გ. ჯაჩოლია** აღნიშნავდა, აქაური მცხოვრებლები თავდადებულად შრომობენ მეურნეობაში, მაგრამ მუშების საყოფაცხოვრებო პირობებზე არავინ ზრუნავსო. ავტორს მოჰყავდა კონკრეტული ფაქტები. „კომუნისტში“ დაბეჭდილი ეს წერილი განიხილა თელავის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველომ, რომლის უფროსი ი. მესტვირიშვილი რედაქციას სწერს:

სოფელი საბერო ნამდვილად განიცდის სასმელი წყლის ნაკლებობას. ამბეტისაგან მას ყოფს მდინარე ორვილის ხევი, რომელზეც აუცილებელია გაკეთდეს ხიდი, სოფელს არა აქვს მაღაზია. შეუფერებელ ბინაშია სკოლა, სუსტია ელექტროგანათება არსებული ელექტროელის უვარგისობის გამო. ამ საკითხზე ჩვენ მივუთითეთ ამმტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს, რომ გამოასწოროს მდგომარეობა.

* * *

„წიგნებს ასე არ ეპყრობიან“. ასეთი სათაური ჰქონდა ქალაქ რუსთავიდან მიღებულ **გ. ჯახუას** კრიტიკულ წერილს, რომელიც „კომუნისტის“ № 3-ში დაიბეჭდა. წერილის ავტორი აღნიშნავდა, რომ ბ. წერეთლის სახელობის საქალაქო ბიბლიოთეკის წიგნისაცავი და დარბაზი ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, სიეიწროვის გამო უამრავი ლიტერატურა იატაკზე ყრია, ხოლო დარბაზი მკითხველებს ვერ იტევს...

„კომუნისტში“ დაბეჭდილი კრიტიკული წერილის გამო რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ შ. შარაბიძემ რედაქციას ასეთი პასუხი გამოუგზავნა: „გაცნობებთ, რომ „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში სათაურით „წიგნებს ასე არ ეპყრობიან“ მოყვანილი ფაქტები შეეფერება სინამდვილეს. ბიბლიოთეკის შენობის გაფართოების საკითხს უახლოეს ხანში განიხილავს ქალაქის საბჭო.

* * *

კუთაისის № 1 საოლმეურნეო ბაზარში უწესრიგობა, კოოპერატორის ფარდულები ხუსტლებივით არის ჩამწკრივებული, პროდუქტები ღია ცის ქვეშ აწყვია, უსუფთაობაა, — აღნიშნავდა „კომუნისტში“ (№ 3) დაბეჭდილ წერილში „როცა ბაზარში შედიხართ“. ქუთაისის № 8 სამკერვალო ფაბრიკის კადრების განყოფილების უფროსი **შ. ქორიძე.** წერილთან დაკავშირებით ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **ტაბლაძე** რედაქციას სწერს:

წერილში „როცა ბაზარში შედიხართ“ აღნიშნული **ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.** საოლმეურნეო ბაზრის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა. მიმდინარეობს ბაზრის რეკონსტრუქციის სამუშაოები, დამთავრდა კოოპერატორობის სავაჭროების კეთილმოწყობა, მიღებულია ზომები ბორცის სავაჭროებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დასაცავად. საოლმეურნეო ბაზრების მუშაობის საკითხი განხილულ საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ბაზრების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„რეკლამაციები... ყოველი მხრიდან“

ეს სათაური „კომუნისტში“ (№ 7) დაბეჭდილ იმ წერილს ჰქონდა, რომელშიც უხარისხო პროდუქციის გამოშვების გამო გაკრიტიკებული იყო ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკის საქმიანობა, გაზეთში გამოქვეყნებული წერილის გამო პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **შ. კობახიძე** რედაქციას ატყობინებს:

„გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებული წერილის შესახებ გაცნობებთ, რომ მასში მოყვანილი ფაქტები შემოწმებით **დადასტურდა.** ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკას 1961-1962 წლებში დაბალი ხარისხისა და არასწორად მარკირებული პროდუქციის სარეალიზაციოდ გამების გამო დიდი ჯარიმები აქვს გადახდილი.

ტრიკოტაჟის ფაბრიკაში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გახორციელდა მნიშვნელოვანი ტექნიკური ღონისძიებანი.

პარტიის საქალაქო კომიტეტის მიზარამ იმსჯელა ტრიკოტაჟის ფაბრიკის მუშაობის შესახებ და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ფაქიზი პროფესიის ადამიანები

თბილა იწყებს სიცოცხლეს

ამ პატარა საამქროში არ დგანდგარებენ დანადგარები, თვალს არ ხიბლავენ მანქანა-ავტომატები ათასგვარი დეტალებითა და საკისარებით.

საამქროში ბიბლიოთეკური სიჩუმეა.

ღღეს, როცა მანქანებმა ლამის სიმფონიები წერონ, აქ ხელები და მხოლოდ ხელები ჩარეულან საქმეში. მაგიდაზე წიწოლებივით გამწკრივებულან ყელმოხატული ჭინჭილები. იატაკზე ერთმანეთში არეულ სურებს, თასებს, ქილებს, საფერფლეებს, აზარფეშებს... ვეღდავთ.

1961 წლს ნათელი გახდა, რომ შავი ფერის კერამიკულ ნაწარმს ჩვენი წინაპრები წითელი თიხისაგან ამზადებენენ, ხელოვნური შებოლვის გზით.

შარშან საბურთალოს მშრალი წნეხვის აგურის ქარხანაში შეიქმნა წითელი თიხის საამქრო, რომელმაც უკვე მოასწრო რეპუბლიკის გარეთაც გაეთქვა სახელი.

საამქროს მთავარი მხატვარი მურთაზ აბაშიძე ორ გედისყელიან სურას ვვიჭვენებს. გამოცდილსაც გაუჭირდება მათი ერთმანეთისაგან გარჩევა, ეს იმ დროს, როცა ერთ-ერთი სურა სულ რაღაც ათასხუთასი წლით უფროსია მეორეზე.

მეღვინეობის მსოფლიო კონგრესის მონაწილეთა მოწონება ამ საამქროში დამზადებულმა ჩვიდმეტი სახის საღვინე ჭურჭელმაც დაიმსახურა, რომელიც კერამიკოსებმა სპეციალურად დაამზადეს.

... მაგიდებს ჩუმად უსხედან ფაქიზი პროფესიის ადამიანები და თითქოს მათ ხელებში ზეიმობს საუკუნეობრივი ძილისაგან გაღვიძებული წინაპართა ლამაზი ხელობა.

ვინ არიან ისინი?

საამქროში სულ ოცდათხუთმეტამდე მუშაა. მათ შორის ათი პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიური ფაკულტეტის სტუდენტია. იგი მთელ ქარხანაში ყველაზე ახალგაზრდა და ამავე დროს ყველაზე ახალგაზრდული საამქროა.

ცვლის უფროსი იზა ცერიაშვილი მთელი საათია სხვებზე გვესაუბრება, საკუთარ საქმიანობაზე კი არაფერს ამბობს. იგი მეორე თვეა, რაც ამ საინტერესო უბანს ჩაუდგა სათავეში და მცირე წვლილი როდი მიუძღვის საამქროს მიერ დეკემბრის თვის გეგმის 195 პროცენტით შესრულებაში.

გამოწვა-შებოლვა კერამიკული ნაწარმის დამზადების ძირითადი პროცესია. ამჟამად საპაერო მიმოსვლა ფართოდ არის გამოყენებული. 1959 წელს საპაერო გზით საქართველოდან 234 ათასი კაცი გაემგზავრა, ხოლო შარშან —565 ათასი. **გაიზარდა ავიაქიმიური მუშაობის მოცულობა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაში.**

ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ფაზაშია. ცხოვრება ახალ მოთხოვნილებებს უყენებს ავიაციის მუშაკებს. ამ მოთხოვნილებათა შესაბამისად იქმნება საპაერო ხომალდები, რომელთა დეკეზიზ: სისწრაფე, შორმავლობა, უხიფათობა და კომფორტი. ერთ-ერთი ასეთი ხომალდი იქნება ილ-62, ასოთხმოცდაორადგილიანი გოლითი მანქანა, რომელიც დაუფრენლად უნდა მიაღწიოს მოსკოვიდან ნიუ-იორკამდე. ეს თვითმფრინავი ახალი ეტაპია საბჭოთა ავიამშენებლობაში. წარმოებს საპაერო ტრასების აღჭურვა თანამედროვე რადიო და შუქტექნიკური საშუალებებით, რომლებიც მგზაურობის უხიფათობას უზრუნველყოფენ.

საბჭობა ქვეყანა, საპაერო ნაოსნობის სამშობლო, საბჭოთა ხალხი, სამართლიანად ამაყობენ თავიანთი მეცნიერებისა და ტექნიკის ბრწყინვალე მიღწევებით. კოსმოსის დაპყრობა ადამიანის გონების უმაგალითო გამარჯვებაა სამყაროს ძალებზე. გაგარინის, ტიტოვის, ნიკოლაევისა და პოპოვიჩის ტრიუმფალურ სელას საბჭოთა სამამულო ავიაციის განვითარებასა და წარმატებებში ჩაეყარა საფუძველი.

ჩვენი სამოქალაქო საპაერო ფლოტის მოვალეობაა კვლავაც ახდენდეს თავისი ძალისა და შესაძლებლობის მობილიზაციას, ენერგიის დაუზოგავად იბრძოლოს სახელმწიფო და საგეგმო დავალებათა განაღდებისათვის, უზრუნველყოფდეს ფრენის უშიშროებას, განამტკიცებდეს შიდასაგანაწესო დისციპლინას და მაღალ კომუნისტურ შეგნებას, სანიმუშოდ ემსახურებოდეს საბჭოთა ადამიანებს.

ა. გოლეთიანი.

საქართველოს ტერიტორიული სამოქალაქო საპაერო ფლოტის სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსი.

* * *

სურათზე: თბილისის აეროპორტის **კომუნისტური შრომის** მოწინავე ეკიპაჟი. მარცხნიდან, წინა რიგში: ბორტრადისტი ვ. კირილინი, ბორტმექანიკოსი რ. ფერაძე, მეორე პილოტი პ. ნიკოლაევი; ქვეგანაყოფის მეთაურის მოადგილე საფრენოსნო ნაწილში ნ. გახოკიძე, ზომალდის მეთაური ა. პაპაშვილი; მეორე რიგში — ბორტგამყოლი ე. როდონეული, შტურმანი ა. კაზარცევი, ბორტგამყოლი გ. ხმელი.

ფოტო ს. კრუეკოვისა.

ფოლადის ფრთებით...

საპაერო ფლოტის 40 წლისთავი

ჩვენი ქვეყანა საპაერო ნაოსნობის, რეაქტიული მოძრაობის თვითმფრინავის, პელეკოპტერის, თანამედროვე პარაშუტის, რაკეტული და რეაქტიული ტექნიკის სამშობლოა. საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი წარმატებით განახორციელა საპაერო სივრცის ათვისება და მრავალი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა სამამულო ავიაციის განვითარების ისტორიაში. საბჭოთა კავშირი სამართლიანად ითვლება მძლავრ საავიაციო, რეაქტიული და რაკეტული ტექნიკის სახელმწიფოდ. ამ დიდ საერთო-სახალხო მიღწევაში თავისი წვლილი მიუძღვის სამოქალაქო-საპაერო ფლოტსაც, რომელიც ოთხი ათეული წლის წინათ ჩაისახა.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით ახალი უმაღლესი ეტაპი დაიწყო საბჭოთა ავიამშენებლობაში. მშრომელთა საქმისათვის თავდადებული საუკეთესო კომუნისტებით, მფრინავებით, ტექნიკოსებითა და მემოტორეებით დაკომპლექტდა პირველი საავიაციო რაზმები, რომლებიც შემდეგ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის საპაერო-სამზღვრო ძალერების ბერხემლად გადაიქცნენ და თეთრგვარდიელებისა თუ უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლებში მონაწილეობდნენ.

პარტია და მთავრობა იმთავითვე ყურადღებით მოეკიდნენ საპაერო ფლოტის შექმნას. გაიხსნა სპეციალური საასწავლებლები და სამეცნიერო დაწესებულებები მფრინავთა კვალიფიკური კადრების მომზადებისა და სამეცნიერო-კვლევითი საუშაოების ჩასატარებლად. 1921 წლის დასაწყისში ლენინის მითითებით გამოიყო საგანგებო კომისია, რომელსაც საავიაციო მრეწველობისა და საპაერო ნაოსნობის პროგრამა უნდა შეემუშავებინა. 1923 წლის 9 თებერვალს ეგზენქნა „სამოქალაქო ავიაციის საქმეთა საბჭო,“ რომელიც შემდეგ სამოქალაქო საპაერო ფლოტის მთავარ სამმართველოდ გადაკეთდა. ამავე წლის აპრილში ჩამოყალიბდა სამი საკაციო საზოგადოება — რუსეთის ფედერაციაში, უკრაინასა და ამიერკავკასიაში, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ მუშაობა დაიწყო 420 კილომეტრი სიგრძის პირველმა რეგულარულმა საპაერო ტრასამ მოსკოვი-ნიჟნი-ნოვგოროდი (გორკი). ამ დღიდან მოკიდებული საბჭოთა სამოქალაქო ავიაცია განუხრელი ზრდისა და განტკიცების გზაზეა.

ოც-ოცდაათიან წლებში ა. ტუპოლევის ხელმძღვანელობით საკონსტრუქტორო ბიურომ საექსპლოატაციოდ გადასცა „ანტ“ სერიის თვითმფრინავები. ერთერთ მათგანზე (საბჭოების ქვეყანა) ცნობილმა პილოტმა ს. შესტაკოვმა 1929 წელს მოსკოვიდან ნიუ-იორკამდე იფრინა და 21.242 კილომეტრი 242 საფრენოსნო საათში დაფარა. იმავე წელს, „ანტ-9“ ტიპის სამმოტორიანი თვითმფრინავით მ. გრომოვმა 9.037 კილომეტრზე 53-საათიანი გადაფრენა მოახდინა ევროპაში. ეს ახალგაზრდა საბჭოთა საავიაციო ტექნიკისა და ავიატორების დიდი გამარჯვება იყო. წლითიწლობით იზრდებოდა თვითმფრინავების ტევადობაც. თუ 1929 წელს „ანტ-9“ მხოლოდ ცხრა მგზავრს იტევდა, ორი წლის შემდეგ „ანტ-14“ 36 მგზავრისათვის იყო გათვალისწინებული, ხოლო 1934 წელს ვ. პეტლიაკოვის ჯგუფის მიერ კონსტრუირებული სამოცდაათადგილიანი საპაერო გიგანტი „მაქსიმ გორკი“ უდიდესი იყო მთელ მსოფლიოში. ამას გარდა გამრავლდა ავიანაგებობათა რიცხვი. შენდებოდა ავიაპორტები, აეროდრომები, სპეციალური სახელოსნოები, სასწავლებლები, დღითიდღე იზრდებოდა საპაერო მომოსვლის ქსელი.

მთელი მსოფლიო შეძრა 1934 წელს საბჭოთა მფრინავების გმირობამ. მაგ ზრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის სტიქიას გამოსტაცეს ჩელუსკინელთა სიცოცხლე. ამ უმაგალითო მამაცობისათვის მფრინავებს მოლოკოვს, ვოდოპიანოვს, კამანინს, ლევანევსკის, ლაპიდევსკის, სლეპნევსა და ვორონინს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ. ისინი იყვნენ ამ მაღალი წოდების პირველი მფლობელები. შემდეგ „ანტ-6“ ტიპის თვითმფრინავებზე ვოდოპიანოვმა, ალექსეევმა და მაზურუკმა ექსპედიცია გადასხეს ჩრდილოეთ პოლუსზე, ხოლო ჩკალოვის, ბელიაკოვის, ბაიდუკოვის, გრომოვის, იუმაშევის და დანილინის სახელები დაკავშირებულია მოსკოვიდან ამერიკაში პირველ გადაფრენასთან ჩრდილოეთის პოლუსის გავლით.

უკვე 1938 წელს საპაერო ტრასების სიგრძე გაიზარდა 138 ათას კილომეტრამდე, ხოლო ტვირთბრუნვის სიდიდე ათჯერ. ქვეყანას კვლავ შემომეტა ახალი ავიანაგებობები, მსხვილი სარემონტო ქარხნები, სახელოსნოები, სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციები, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები.

ომის პერიოდში ახალი ამოცანები დადგა სამოქალაქო ავიაციის წინაშე. საფრენოსნო პარკისა და მფრინავთა ძირითადი შემადგენლობა უშუალოდ მონაწილეობდა ფრონტის საქმიანობაში. სამოქალაქო მფრინავებს ფრონტსა და პარტიზანულ ზურგში გადაჰქონდათ საბრძოლო აღჭურვილობა, საომარი მასალები, მედიკამენტები, ჟურნალ-გაზეთები, გადაჰყავდათ დაჭრილები და პარაშუტისტები. სატრანსპორტო ავიაციის საშუალებით მყარდებოდა კავშირი გარემოცულ მგრი ქალაქებთან — ლენინგრადთან, ვოლგოგრადთან, სევასტოპოლთან, კიევთან. ათასობით მფრინავმა, შტურმანმა, ბორტმექანიკოსმა, რადისტმა თუ ინჟინერ-ტექნიკოსმა პირადი მამაცობისა და სამშობლოსათვის თავდადების მაგალითი აჩვენა. ბევრი მათგანი დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით.

ომისშემდგომ წლებში სამამულო ავიაცია კიდევ უფრო სწრაფად განვითარდა და გადახალისდა. ჯერ კიდევ 1945 წელს საპაერო ხაზებით ორჯერ მეტი მგზავრი იქნა გადაყვანილი, ვიდრე ომამდე. ამდენჯერვე გაიზარდა ტვირთბუნვაც.

1956 წელს საპაერო ტრასაზე გამოვიდა საბჭოთა სამოქალაქო ავიაციის სიამაყე — ორმოცდაათადგილიანი ტურბორეაქტიული ხომალდი „ტუ-104“. მალე ეს თვითმფრინავი და მისი მოდერნიზებული ტიპები საბჭოთა კავშირის მაგისტრალურ და საერთაშორისო ტრასებზე დაფრინავდნენ. ამ მანქანებმა ყველა ქვეყნის სპეციალისტების საერთო აღიარება ჰპოვეს. ტურბორეაქტიული საპაერო ხომალდების ტრასაზე დამკვიდრებით საბჭოთა კავშირმა ორი-სამი წლით გაასწრო ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მსგავს თვითმფრინავებს. „ბოინგ-707“, „კომეტა-4“ და „კარაველა“ მხოლოდ 1958-59 წლებში გამოჩნდნენ საფრენ ხაზებზე. მოკლე დროში ჩვენმა სამამულო წარმოებამ აითვისა და საექსპლოატაციოდ გადასცა „ილ-18“, „ან-10“ ტიპის ხომალდები, ოგრეთვე ვერტმფრენები „მი-1“, „მი-4“ და სხვ. ამ ორიოდე წლის წინათ მწყობრში ჩადგა მსოფლიოში უდიდესი გიგანტი „ტუ-114“.

ამჟამად ჩვენს სამოქალაქო-საპაერო ფლოტს შეუძლია რეგულარული კავშირი დაამყაროს დედამიწის ყოველ კუთხესთან. მარტო შვიდწლედის პირველ სამ წელიწადში გადაყვანილია უფრო მეტი მგზავრი, ვიდრე საერთოდ ყველა დანარჩენი წლის მანძილზე.

დიდ შრომატევად სამუშაოებს ასრულებს ოგრეთვე ავიაცია ჩვენს ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სამოქალაქო ავიაციის 40 წლისთავს წარმატებით ხვდება ჩვენი რესპუბლიკის სამოქალაქო-საპაერო ფლოტიც. ქართველ ავიამუშაკებს, სამოქალაქო ავიაციის პიონერებს მეტად მძიმე პირობებში მოუხდათ საქმის დაწყება. არ ჰქონდათ საპაერო ტრასისათვის საჭირო მოწყობილობა, ფრენა წარმოება და უცხოური წარმოების მცირე სიმძლავრის მანქანებით, რომელთა გამოყენებაც მარტოოდენ განსაკუთრებით კარგ მეტეოროლოგიურ პირობებში იყო შესაძლებელი.

პირველი საპაერო ტრასა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიაზე 1923 წელს გაიკვალა. თბილისი-ბაკო, თბილისი-სოხუმი, თბილისი-მოსკოვი — ასეთი იყო პირველი რეისები. საქართველოში სამოქალაქო ავიაციის განვითარებისათვის ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საპაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ტრანსპორტის ორგანიზაციის, ავიამოდელისტთა წრეების შექმნის, აეროდრომების მშენებლობის, სახსრების შეგროვების საქმეში.

ომის პირველსავე დღეებში საქართველოს სამოქალაქო ავიაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საფუძველზე გამოიყო ცალკეული სატრანსპორტო ქვეგანაყოფები, რომლებიც ფრონტზე გაიგზავნენ არმიის დასახმარებლად. 1942 წელს ოქტომბერში კიდევ ერთი ასეთი ქვეგანაყოფი შეიქმნა.

რესპუბლიკის პილოტებმა ათასობით გაფრენა მოახდინეს ფრონტის ხაზზე თუ პარტიზანებთან ოკუპირებულ რაიონებში. ისინი სპეციალურ სიცოცხლის საფრთხეში ჩაყენების ფასად პირნათლად და ზუსტად ასრულებდნენ დავალებებს და მხარში ედგნენ თავიანთ ფრონტელ ამხანაგებს. მფრინავები პაპუაშვილი, გაგოშიძე, კაციტაძე, საველიევი, თომაძე, ვაშაკიძე, გახოკიძე, კუჭავა, კულოვი, ტარამანოვი, პანტელეევი, ბლეშჩაკოვი და სხვები, საქართველოს სამოქალაქო ფლოტის მთელი კოლექტივი ძალღონეს არ

არ დავუშვათ ახალი აგრესია!

უცხოეთის პრესის კომენტარები საბჭოთა მთავრობის ნოტაზე

ლონდონი, 7 თებერვალი. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის ნოტები საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის მთავრობებისადმი დღეს მილონობით ინგლისელს უბრალს თვალს, თუ რას ითვალისწინებს სანამდვილეში ეგრეთწოდებული თანამშრომლობის ხელშეკრულება ამ ორ ქვეყანას შორის, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დადეს პარიზში.

„პარიზ-ბონის შეთანხმება“ ემუქრება ევროპას“. „ხრუშჩოვი აფრთხილებს დეგოლს“, — ასეთ სათაურს ბეჭდავს პირველ გვერდზე გაზეთი „დეილი ჰერალდი“.

პრესა გამოპაყოფს ნოტების იმ ადგილებს, სადაც ნათქვამია, რომ შეთანხმება აშკარად არღვევს ოთხი სახელმწიფოს ვალდებულებებს ნაციზმის აღმოფხვრის შესახებ და რომ დასავლეთ გერმანიის ატომური შეიარაღების შემთხვევაში საბჭოთა კავშირი იძულებული იქნება დაუყოვნებლივ მიიღოს ღონისძიებანი, რომლებსაც ვითარება მოითხოვს.

პარიზი, 7 თებერვალი. (საკდესი). საფრანგეთის საზოგადოებრიობის ყურადღებას იპყრობს საბჭოთა მთავრობის ნოტა საფრანგეთის მთავრობისადმი საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. ცნობები ამ დოკუმენტის შინაარსის შესახებ გადასცეს რადიომ და ტელევიზიამ, აგრეთვე დღეს დიბეჭდა თვალსაჩინო ადგილას გაზეთებში.

ბურუჟაზიული გაზეთები თავს იკავებენ კომენტარებისაგან. გაზეთ „ფიგაროში“ ცნობა ნოტის შესახებ გამოქვეყნდა სათაურით: „ მოსკოვი ბრალს სდებს: საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულება სამხედრო პაქტია, იგი ამზვავებს საერთაშორისო დაძაბულობას“. გაზეთები „ეკო“, „კომბა“, „პარი-ფური“ გამოპაყოფენ ნოტის იმ ადგილებს, სადაც ნათქვამია, რომ ბუნდესვერის აღჭურვა ატომური იარაღით მიჩნეულ იქნება ყველაზე უშუალო საფრთხედ სსრ კავშირის საარსებო ინტერესებისათვის.

უკიდურესი მემარჯვენე გაზეთი „ორორი“ ცდილობს თავი აარიდოს სერიოზულ გაფრთხილებას, რასაც შეიცავს საბჭოთა ნოტა, რომ საშიშია საფრანგეთის მმართველი წრეებისა და ბონელი რევანშისტების შეთანხმება, გაზეთი აცხადებს, რომ სსრ კავშირს უფლება არა აქვს „იძულოდეს რჩევას იმის შესახებ, რაც შეეხება მშვიდობას მთელ მსოფლიოში“.

„სავსებით ბუნებრივია, — წერს გაზეთი „ლიბერასიონი“, — რომ დე გოლისა და ადენაუერის ხელშეკრულებამ გამოიწვია რეაქცია სსრ კავშირისა — მთავარი მოკავშირისა ჰიტლერელ აგრესორთა წინააღმდეგ სისხლისმღვრელ ბრძოლაში, ქვეყნისა, რომელმაც განთავისუფლების შემდეგ ხელი მოაწერა სამოკავშირეო შეთანხმებებს. ეს რეაქცია შეიძლება გამოვხატოთ ერთი ფრაზით: „შეგნებულად ეთანხმებით თუ არა იმას, რომ ფრანგი ჯარისკაცები ბუნდესვერთან ერთად იბრძოდნენ აღმოსავლეთ ტერიტორიათა დასაპყრობად? არის იმის სრული საფუძველი, რომ ასეთი შეკითხვა მიეცეთ საფრანგეთს. სწორედ ამ მიზანს ისახავს საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულება და ბონის შეთანხმება“.

ბონი, 7 თებერვალი. (საკდესი). გაზეთი „რაინიშე პოსტი“ აშუქებს საბჭოთა მთავრობის ნოტას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობისადმი საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულების დადების გამო და ყურადღებას მიაპყრობს ნოტის იმ ადგილს, სადაც ხაზგასმულია, რომ ბუნდესვერის ატომური შეიარაღება მოასწავებს ვითარების მეტად სერიოზულ გაუარესებას ევროპაში.

„პროტესტი გერმანია-საფრანგეთის სამხედრო კავშირის წინააღმდეგ“ — ასე აფასებს ნოტას გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ“. მოსკოვში ეს სამხედრო კავშირი მიაჩნიათ საფრთხედ ევროპისათვის და, არც თუ უკანასკნელ რიგში, საბჭოთა კავშირისათვის, აცხადებს გაზეთი. საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ დასავლეთ ევროპის ეკონომიური ინტეგრაციაც ხელს უწყობს საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის სამხედრო პოტენციალის განმტკიცებას, რომელიც დღითიდღე სულ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

რომი, 7 თებერვალი. (საკდესი). იტალიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობები ნოტების შესახებ. რომლებიც საბჭოთა მთავრობამ გაუგზავნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საფრანგეთის მთავრობებს. გაზეთები „პაეზე სერა“ და „უნიტა“ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ნოტები სერიოზული გაფრთხილებაა იმ საფრთხის წინააღმდეგ, რასაც იწვევს დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმის წახალისება.

„ნოტა შედგენილია მეტად მტკიცე გამოთქმებით, — წერს „უნიტა“. — მისი მიზანია გააფრთხილოს უწინარეს ყოვლისა საფრანგეთი, მაგრამ მასთან ერთად მთელი დასავლეთის ბლოკი უაღრესად სერიოზული შედეგების შესახებ, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მთელი ევროპის პოლიტიკისათვის იმას, დასავლეთ გერმანიას რომ მისცეს ატომური იარაღი, რა ფორმითაც უნდა იყოს.

ვენა, 7 თებერვალი. (საკდესი). გაზეთები „ფოლკსშტიმე“, „ნოიეს ესტერრაიხი“ და „არბაიტერ-ცაიტუნგი“ აშუქებენ საბჭოთა მთავრობის ნოტებს საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობებისადმი ბონ-პარიზის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დადების გამო და ამ დოკუმენტებს ახასიათებენ როგორც სერიოზულ გაფრთხილებას ბუნდესვერის ატომური შეიარაღების წინააღმდეგ.

„საბჭოთა კავშირი, — წერს „ფოლკსშტიმე“,—ბუნდესვერის აღჭურვას ატომური იარაღით მიიჩნევს საფრთხედ თავისი საარსებო ინტერესებისათვის, საბჭოთა კავშირი იძულებული იქნება დაუყოვნებლივ მიიღოს საჭირო ღონისძიებანი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ატომური შეიარაღების შემთხვევაში. საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ ბონ-პარიზის პაქტი აბუჩად იგდებს ვალდებულებებს გერმანიის მილიტარიზმისა და ნაციზმის აღმოფხვრის შესახებ, რომლებიც საქვეყნოდ იკისრეს საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა“.

ტულპანების ქვეყანაში

შთაგეჭდილებებს გვიზიარებს მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი

14 იანვრის სუსხიან დილას, მოსკოვის შერემეტიევის აეროდრომიდან აფრინდა ვერცხლისფერი ლაინერი „ტუ-104“, რომლითაც ჩვენი საამაყო სპორტსმენი ქალი ნონა გაფრინდაშვილი გაემგზავრა ჰოლანდიის ქალაქ ბეევერვიკში საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად.

სამი საათიც არ იყო გასული, რომ თვითმფრინავის თვლები ჰოლანდიის მიწას შეეხნენ. „ჭადრაკის დედოფალი“ ჩაფრინდა ჭადრაკის ქვეყანაში. დიახ, ჭადრაკის ქვეყანაში. ჰოლანდია, რომელიც ყოველთვის ცნობილი იყო თავისი უდიდესი მხატვრობით, და როგორც სამშობლო რემბრანდტისა და ვან-გოგისა, ჩვენს საუკუნეში ცნობილი გახდა აგრეთვე როგორც მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მაქს ეივეს სამშობლო და როგორც ჭადრაკის გულშემატკივართა ქვეყანა.

ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიაც ჩვენმა ნონამ მონაწილეობა მიიღო, იყო ნაწილი იმ ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალისა, ამ პატარა ჰოლანდიურ ქალაქში ყოველწლიურად რომ იმართება.

ქალაქის ცენტრში, ერთ-ერთ უზარმაზარ დარბაზში მიმდინარეობდა 12 სხვადასხვა რანგისა და მონაწილეთა სხვადასხვა რაოდენობის საჭადრაკო ტურნირი: მოზარდების, ჭაბუკების, ოსტატთა კანდიდატების, ოსტატებისა და გროსმაისტერების. აქ ერთდროულად ერთმანეთს ებრძოდა 220 მოჭადრაკე, ჩამოსული დედამიწის მრავალი კუთხიდან...

ყველაფერი ეს გვიამბო მსოფლიო ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა, რომელიც ჰოლანდიაში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ გუშინ თავის მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა.

— ამსტერდამის აეროდრომზე ტურნირის ორგანიზატორებმა ძალიან თბილი შეხვედრა მომიწყეს, — თქვა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში ნონა გაფრინდაშვილმა. — თვითმფრინავიდან ჩამოვედი თუ არა, ხელები ყვავილების თაიგულებით ამოვსეს. უმეტესად ეს იყო განთქმული ჰოლანდიური ტულპანები. ეს არა, ჩვეულებრივი სილამაზის, ნახი ყვავილი სრულიად უჩვეულო იყო ჩემთვის 15-გრადუსიან ყინვაში, საერთოდ იქ ცივი ზამთარი სცოდნია.

ამსტერდამის აეროდრომიდან ბეევერვიკში ჩავედი და პირდაპირ სატურნირო დარბაზში მომიყვანეს. აქ ვაკთა შორის დაძაბული თამაში მიმდინარეობდა. ჩვენს გროსმაისტერებს დავით ბრონშტეინსა და იური ავერბახს ხელიც კი ვერ ჩამოვართვი. ხელის ჩამორთმევას ვინ ჩიკის, კარგი ფეხითაც კი ვერ ჩაველ თურმე მათთვის — იმ დღეს პირველმა წააგო, ხოლო მეორე ყაიმს დასჯერდა.

უნდა აღვნიშნო, რომ ფესტივალის არც ერთი მონაწილე სასტუმროში არ ცხოვრობდა. ტრადიციულად აქ ჩამოსულ მოჭადრაკეებს საცხოვრებლად ქალაქის მცხოვრებნი იკედლებენ. მე და რუმინელი მოჭადრაკე ქალი ნიკოლაუ ვინნე კეილოთან ვცხოვრობდით. ეს იყო ადგილობრივი მეტალურგიული კომბინატის ინჟინერი. აქვე მინდა შევნიშნო, რომ ფესტივალის ორგანიზატორი და დამფინანსებელი სწორედ ამ მეტალურგიული კომბინატის დირექცია იყო, რომლისთვისაც ეს ფესტივალი დიდი სახელიც არის და... რეკლამაც.

ჩემი ცხოვრება ბეევერვიკში ინტერვიუებითა და ავტოგრაფების დარიგებით დაიწყო. მოჭადრაკე ქალთა ტურნირამდე სამი დღე მრჩებოდა და ეს დრო მოლიანად მაგიდის ჩოგბურთისა და ჭადრაკში ელვისებური პარტიების თამაშს მოვანდომე.

ჩემი პარტნიორები სხვადასხვა ქვეყნის ოსტატები იყვნენ. მაგიდის ჩოგბურთში ვერავინ მაჯობა, თუმცა ძალიან ცდილობდნენ. რაც შეეხება ელვისებურ პარტიებს ჭადრაკში, აქაც საერთო ბალანსი ჩემს სასარგებლოდ იყო. მხოლოდ უნგრეთის ჩემპიონთან შაბორთან წაგვიგე ანგარიში 3:4. დანარჩენ ვაკებს ყველას მოვუგე. (როგორც შემდეგ გავიგეთ, ამ „დანარჩენებში“ იყვნენ ისეთი ცნობილი საერთაშორისო ოსტატები, როგორიც არის იუგოსლავი სვედერეკაცი, პოლონელი ლიტვანოვიჩი და რამდენიმე ჰოლანდიელი ოსტატი ვაკი).

— ერთ საღამოს იცით რა მთხოვ?, — ღიმილით ამბობს ნონა, — იუგოსლავ ოსტატს სვედერეკაცს რამდენიმე პარტია ზედიზედ რომ მოუგე, მას გვერდით ცნობილი იუგოსლავი გროსმაისტერი ივკოვი მიუჯდა და აშკარად დაუწყო „კარნახი“. ხან თვალებით ანიშნებდა, ხან ხელს წაკრავდა — ეს სვლა არ გაკეთო, დაბოლოს თავის ენაზე სვლებსაც ურჩევდა. ვითმინე, ვითმინე და ბოლოს რუსულად ვუთხარი: რატომ არ გამფრთხილეთ, თუ საკონსულტაციო პარტიას მეთამაშებოდითო.

სამმა დღემ მალე გაირბინა და ქალთა ტურნირიც დაიწყო. თუ როგორ მიმდინარეობდა იგი და რა შედეგებით აღინიშნა, ეს თქვენ კარგათ იცით. ხოლო ერთი უნდა ვთქვა, რომ პირველობისათვის თავიდანვე მხოლოდ სამნი ვიბრძოდით — მე, იუგოსლავი იოვანოვიჩი და რუმინელი ნიკოლაუ. ცხრა პარტიან ტურნირში თვითეული ჩვენთაგანისათვის ერთი პარტიის წაგებაც კი პირველი ადგილის დაკარგვას ნიშნავდა.

ახლა თქვენ თვითონ გაიმეტეთ, თუ რა რიგ დაძაბული უნდა ყოფილიყო ჩემი თამაში.

ჩემს წარმატებას ჰოლანდიელი გულშემატკივრები, დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ. [illegible] ვილებს [illegible] ამოდგებ[illegible] ინგლისელ [illegible] ბ[illegible] ნ[illegible] ბ[illegible] ბ[illegible] ბ



1962 წელს დავამთავრე ისტორიული რომანი „დიდი ღამე". ამ წიგნზე დიდი ხნის განმავლობაში ვმუშაობდი და იგი არის არაერთი წლის ფიქრისა და შრომის ნაყოფი. რომანი მოგვითხრობს მე-13 საუკუნის ამბებს, მაგრამ ვფიქრობ, რომ მასში თანამედროვე მკითხველი ბევრ რამეს საინტერესოს ნახავს დღევანდელი თვალსაზრისით.

რომანი იბეჭდება ჟურნალ „ცისკარში".

1962 წელს გადავამუშავე ჩემი პირველი რომანი „ლაშარელა". რომანის ახალ რედაქციაში გათვალისწინებულია ყველა ჯანსაღი შენიშვნა, რომელთაც მისი კრიტიკა შეიცავდა.

1963 წელს ვიმუშავებ ახალ ლექსებზე. დაველოდოთ მოთხრობებსაც.

მინდა „კომუნისტის" მკითხველებს შევთავაზო ერთი თავი ჩემი ახალი რომანიდან.

გრიგოლ აბაშიძე.

თბილისის კართან

სულტანი თბილისს მოადგა და სოღანლღიის სანახებში დაბანაკდა. გრძელი გზით დაღლილ ლაშქარს კარგად უნდა დასვენება, რომ მეორე დღეს ქალაქის იერიში დაეწყოთ.

ჯალალედინმა დაღამებას არ დაუცადა, სამი ათასი რჩეული ცხენოსანი იახლა და ქალაქის მისადგომების დასათვალიერებლად გაემართა.

მაღლობიდან დასცქეროდა თბილისს სულტანი. ის, რაც ნაამბობია და აღწერილობით იცოდა და რაც გაზვიადებულად ეჩვენებოდა, მცირედ და უმნიშვნელოდ წარმოუდგა, როცა ქალაქის მისადგომები თავისი თვალით ნახა.

ქართველთა სატახტო მთა-გორებით იყო მოზღუდული და ეს ბუნებრივადაც გამაგრებული ქალაქი ხელოვნურად მაღალი კედლებითა და საბრძოლო გოდლებით იყო განმტკიცებული. ქალაქის მისასვლელთან მტკვრის ხეობა საგრძნობლად ვიწროვდებოდა და ქართველთა სატახტო მტრისათვის მაგრად ჩაკეტილი ჩანდა. ამ ვიწროებში დიდი ლაშქარი ვერ გაიშლებოდა და რაკი ქალაქს ზღუდეც მაგარი ერტყა, თბილისის აღება ძნელ და თითქმის შეუძლებელ საქმედ ჩანდა.

სხვას ალბათ ჯალალედინის ადგილზე გამამარჯვებაში ეჭვი შეეპარებოდა და გული გაუტყდებოდა, მაგრამ ჯალალედინს იმ ვაკაცების სისხლი უდღეოდა, რომელთაც სიძნელე და შეუძლებლობა დაძლევა არათუ აშინებთ, კიდევ უფრო იზიდავთ და ამხნევებთ.



სულტანმა კარგად იცოდა, რომ საქართველოს დედაქალაქის აღარ იქნებოდა, რაც ამ სამოდე თვის წინათ ყოფილა. გარნისის ძლევისა და შემდეგ ამდენი რბევის შედეგად, საქართველოს ძველი ძლიერება საფუძვლიანად იყო შერყეული.

მაგრამ ჯალალედინს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეტყობილი, რომ საქართველოს მეფემ და მისმა ვაზირებმა იმ დღეს სასწრაფოდ დატოვეს თბილისი. სულტანმა ისიც არ იცოდა, რომ საქართველოს ხელისუფალთა შორის უთანხმოება იყო ჩამოგარდნილი: ძველი, ნაცადი სარდლებიდან, იმათგან, ვისმა გმირობამაც ასე შორს გაუთქვა სახელი ქართულ ხმალს, ზოგნი ცოცხლები აღარ იყვნენ, ხოლო ზოგსაც ციხეთ-იმერეთში დედოფალთან ერთად თავის შეფარებაზე უარი ეთქვა და მიუვალ ციხეებში დარჩენა. საკუთარი ძალით თავთავიანთ სამფლობელოებს დაცვა გადაეწყვიტა.

ავაზა ამირსასალარიცა და შანშე მანდატურთუხუცესიც ამათ კვალს დასდგომოდნენ. ისინიც ციხეების სიმაგრეს მიენდობოდნენ და სატახტო ქალაქი მცირე მეციხოვნე ჯარის ანაბარა შეეტოვებინათ.

სულტანმა ჯერჯერობით არც ქალაქის მცველთა რიცხვი იცოდა, არც საქართველოს სარდლობის დაბნეულობა. იგი თბილისთან ძლიერ ომს მოელოდა და საამისო თადარიგს იჭერდა.

ქალაქის დასაზვერავად გამოსული ჯალალედინი სანახობამ მიიზიდა და მიიტყუა. ქართველთა სატახტოს დაცვაში სისუსტის ძებნამ ისე გაიტაცა, რომ თითქმის ქალაქის კართან მივიდა.

მეციხოვნეებს არ გამოპარვიათ მტრის მოძრაობა. თავის მხრივ ისინიც თვალს ადევნებდნენ კოშკებიდან ხვარაზმელთა რაზმის მოახლოებას: მცირერიცხოვანი მტერი კარგა შორს წამოსულიყო წინ თავისი მთავარი ბანაკიდან, მზვერავ რაზმს უკან დიდი ჯარი არ მოპყვებოდა.

შემთხვევა მართლაც ხელსაყრელი ჩანდა და ქართველებმა გადაწყვიტეს დაეყოვნებლივ ესარგებლათ მტრის ამ სიოამამით.

ქალაქის მცველებმა მოულოდნელად გაიღეს კარი, ფიცხლად გამოცვივდნენ და მტერს გახელებით მიეტევნენ.

ჯალალედინი მიხვდა, რომ ველარც გაქცევით უშველიდა თავს, ვერც მთავარი ბანაკიდან მოუსწრებდა მაშველი ლაშქარი. სხვა გზა აღარ იყო, ბრძოლა უნდა მიეღო და უკან ნელნელა დახევით მიახლოებოდა ბანაკად მდგარ თავის ლაშქარს.

ქართველებმა თავგამეტებით შეუტიეს, მაგრამ ხვარაზმელებიც კლდესავით დახვდნენ. ორივ მხრიდან რჩეული, თავზეხელაღებული ვაჟკაცები იბრძოდნენ, დამშეულებივით უტევდნენ ერთიმეორეს და თანდათან ხელჩართულ ბრძოლაში ებმებოდნენ.

რა იცოდნენ თბილისის დამცველებმა, რომ ხვარაზმელ მზვერავთა იმ სამიათასიან რაზმს თავად დიდი და აღმატებული სულტანი უძღოდა წინ! ეს რომ სცოდნოდათ, ქალაქში აღარავინ დარჩებოდა, ქუდზე კაცი გამოვიდოდა და ბრძოლის ბოლამდე ებრძოლა.

ბრძოლა თანდათან შენივთდა და სულტანმა შეატყო, რომ გამარჯვების სასწორი მტრის მხარეს იხრებოდა. ქართველები მეტის აღტკინებითა და თავგამეტებით უტევდნენ, ხვარაზმელების სიმტკიცე თანდათან დრკებოდა.

მაშინ ერთხელ კიდევ გააფთრებით ეკვეთა მტერს სულტანი, ოდნავ უკან დაახევინა და ცხენიც გასაქცევად შემობრუნა.

მიპქროდნენ, თავქუდმოგლეჯილი ილტვოდნენ ხვარაზმელები.

ზარითა და ყიჟილით მისდევდნენ ქართველები. სადავემიშვებული ცხენები ეცქმოდნენ, ხტებოდნენ, ფრთამესხმულივით მიფრინავდნენ. ქართველები ეწეოდნენ, კაფავდნენ, ჩეხავდნენ და ხოცავდნენ. ბინდი ჩამოწვა, თითქმის აღარაფერი ჩანდა.

მეგნა ჯაყელმა უცებ ცხენს აღვირი მოსწია. მტრის მთავარი ბანაკის მიახლოება საშიში იყო. ღამის სიბნელეში მაინც ვეღარაფერს არჩევდნენ და ხვარაზმელთა დევნასაც აზრი აღარ ჰქონდა.

მეგნამ მტრის დევნით გატაცებული რაზმი შეაყენა, სწრაფადვე უკან შემობრუნა და თბილისისაკენ გამარჯვებული შემოიქცა.

ბეწვზე გადარჩენილმა სულტანმა თავის ამირებთან დიდხანს ითათბირა. ზოგმა საყვედური შეკადრა, საფრთხეში თავს რად იგდებ, გურჯების დედაქალაქს მანქანები მივუყენოთ, ალყა შემოვარტყათ, მოსვენებას ნუ მივცემთ და თავად გაგვიღებენ ქალაქის კარსო. ქალაქზე იერიში კი არც ერთმა ამირამ არ ურჩია სულტანს. თბილისი მიუგდომელ და ძნელად ასაღები სიმაგრედ ეჩვენებოდა ჯალალედინის სარდლებს. ამიტომ თითქმის ერთხმად მოითხოვდნენ ქალაქის გარემოცვასა და ალყაში მტრის გატეხის მთმინებით ლოდინს.

ჯალალედინს თავის ამირების რჩევა აბრაზებდა და აღიზიანებდა, ისე ურჩევენ ხანგრძლივი ალყის შემორტყმასა და ბოთმინებით ცდას, თითქოს სულტანი მამამისის ტახტზე, ხვარაზმის დედაქალაქში ურგენჩში იჯდეს მორჭმით და ქართველთა წინააღმდეგობის გატეხის მეტი სხვა საფიქრალი აღარაფერი ჰქონდეს. ადარბადაგანში შფოთია, განძასა და თავრეზში შეთქმულები იმასღა ელიან, ჯალალედინი დიდი ხნით შორს გაიგულონ და ახალი აჯანყება დაიწყონ, ხლათის მელიქი და რუმის სულტანი ხმალსა ლესავენ, რომ ზურგში ჩასცენ მათ მიერ სიტყვით „საისლამოს ქომაგად" აღიარებულ სულტანს, ხოლო მონგოლები (რაც ყველაზე საშინელია) ერაყისა და ისპაჰანისკენ მოიწევენ, დაგეშილი ძალლებივით ჯალალედინის კვალს დაეძებენ და სადაც არის თავს წამოადგებიან.

არც ქართველებს სძინავთ. მართალია, ლიხსაქეთა ქვეყანა მოოხრებული და წელში გატეხილია, მაგრამ ნახევარი საქართველო ლიხს იქით ისევ ძლიერი და ღონიერია. ქართველების დიდმა ლაშქარმა წესრიგით დაიხია უკან. ქართველთა მეფეს მთის ხალხები ისევ ძველებურად ემორჩილებიან, მას კიდევ შეუძლია დიდი ლაშქრის მოგროვება და თბილისის კარზე მოყენება, მერე ერთმა ალაჰმა იცის, ვინ აღმოჩნდება ალყაში, თბილისის დამცველი ჯარი თუ ხვარაზმელი სულტანი.

სულტანის ამირებმა ისიც კარგად იციან, რომ ჯალალედინი ქართველთა სატახტოს მართლა მათი ამბარტავნებისა და ურჯულოების დასათრგუნავად კი არ მოსდგომია. ქართველთა დედაქალაქი ახლა მთელ აღმოსავლეთში უმდიდრესად ითვლება და მისი საგანძური დროზე უნდა იგდოს ხელთ სალარო გამოცარიელებულმა სულტანმა, რომ წელში გაბრთვა, ახალი ლაშქრის შეკრება-შეიარაღება და მონგოლთა დასახვედრად მომზადება შეძლოს.

იციან სულტანის ამირებმა ეს, ყოველივე კარგად იციან და მაინც თბილისის კართან უქმად ჯდომასა და ლოდინს ურჩევენ.

კარგა ხანია ჯალალედინი ასე გაცხარებული არ ენახათ.

— თქვენთვის რომ დამეჯერებინა, არც გარნისთან უნდა შევებმოდი ქართველებს, იქაც ასე ამბობდით. მიუდგომელი სიმაგრეა ტაუელ-უბრალოდ შეეგზავეთო ჯარსო, — ყვიროდა გაბრაზებული ჯალალედინი და იმ მხარეს მრისხანედ იყურებოდა, სადაც მისი ძმა ყიასედინი იჯდა თავჩაღუნული.

— გარნისში ალაჰმა გვიშველა, სასწაული მოგვივლინა! ეს თავად სულტანსაც ბევრჯერ უბრძანებია... — წაიბუტბუტა ორხანმა.

— აქაც ალაპი გვიშველის! შველა მხოლოდ ალაპს შეუძლია!

მოსჭრა ჯალალედინმა და ხელი ცისკენ აღაპყრო.

კარავში სულტნის მამლუქი შემოვიდა. სულტანს თავდახრით მიესალმა და ჩუჩულით რაღაც უთხრა:

— შემოიყვანეთ! — ბრძანა უცებ გამოცოცხლებულმა სულტანმა და სახეზე ნათელი გადაეფინა. მერე ტახტზე მშვიდად დაბრუნდა, თვალი ამაყად მოავლო იქ მყოფებს და ერთხელ კიდევ თავდაჯერებულად წარმოთქვა:

— შველა მხოლოდ ალაპს შეუძლია! ალაპი დიდია და უნუგეშოდ არ დატოვებს თავის მინდობილთ..!..

ორმა მცველმა თავით ფეხებამდე დასველებული, ფეხშიშველა, თმააბურძგნილი სპარსელი შემოიყვანა.

წყალი წურწურით ჩამოსდიოდა ტანსაცმლიდან და სიცივისაგან კანკალებდა.

შემოსვლისთანავე ძირს გახერთხო, ჩოქვითა და ფარდაგზე თავის ცემით მიიწია მბრძანებლის ტახტისკენ და სულტნის ფეხებში ჩარგო თავი.

— წამოდექ! — ბრძანა სულტანმა.

სპარსელმა თავი ასწია, იქაურობას თვალი მოავლო და ჩურჩულით შესთხოვა:

— პირისპირ, მარტო ლაპარაკი მინდა ღვთისსწორ სულტანთან... დიდი საიდუმლო მაქვს სათქმელი...

— სთქვი, მე ამათთან საიდუმლო არა მაქვს რა! — ბრძანა სულტანმა.

— ქართველებმა რომ გამიგონ, ცოცხალ დამწვავენ... — კანკალით თქვა ისევ სპარსელმა.

— ქართველები ჩემს წინაშე დაემხობიან! სთქვი, ნუღარ აყოვნებ!

— ალაჰ აქ ბარ*. თბილისელ მორწმუნეთა დავალებით ვარ აქ მოსული.

კარავში მყოფნი შეირხნენ და ერთიმეორეს გადახედეს.

— მტკვარში ყვინთვით გამოვიპარე ქალაქიდან, თევზივით წყალქვეშ მოვცურავდი, თავი რომ წუთით სადმე ამომეყო, ქართველები ისრით გამათავებდნენ, — სპარსელმა სული მოითქვა და ისევე იქ მყოფთ მოავლო თვალი.

— თბილისის მაჰმადიანი ძოსახლეობა მოუთმენლად ელის მუსულმანთა მხსნელი სულტნის შემოსვლას. დიდი და პატარა, ყველა იმას ამბობს, დადგა დრო ურწმუნო გურჯებზე ჯავრის ამოყრისა და დაძხობისაო. ქართველთა მეფე თავისი ვაზირებით სატახტოდან მთებში გაიქცა...

ამირებმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთიმეორეს.

— ქალაქში ქართველთა ჯარი ძალიან პატარა ფურცელი ამოძვრინა და სულტანს გაუწოდა. სულტანმა პერგამენტს დახედა, ირწმუნა და მდივანს გადასცა.

— საბუთი სარწმუნოა, მოამბეს მიეცით ოქრო და ტანსაცმელი. უფრო დიდ ჯილდოს თბილისის აღების შემდეგ მივანიჭებთ.— ბრძანა სულტანმა.

ჯაშუში ისევე ფეხებში ჩაუვარდა და ეთაყვანა.

მეორე დილას ჯალალედინმა ლაშქარი საომრად დაიწყო. მცირერიცხოვან ცხენოსან ჯარს თავისი ძმა ყიასედინი უთავეა და თბილისის ზღუდეებისაკენ წასწია, ხოლო მათ უკანდასახვე გზაზე უმთავრესი ლაშქარი დამაა, რათა საომრად გამოტყუებული ქართველები ხაფანგში მოექცია და გაენადგურებინა. მონგოლთა ამ სამხედრო ხერხის მსხვერპლად თავის დროზე ხვარაზმელთა რჩეული ჯარები დაცემულა, შემდეგ თვითონ ჯალალედინმაც გადმოიღო თათრების ეს ცბიერება და არაერთხელ თავად მონგოლების წინააღმდეგ წარმატებით გამოიყენა.

ყიასედინი თავისი ცხენოსანი რაზმით თბილისის ზღუდეებთან მივიდა.

ქართველები დღესაც გაფაციცებით აღევნებდნენ თვალს მტრის მოძრაობას.

ასე შორს და წინ წამოსულ ხვარაზმელთა მცირერიცხოვანი ჯარი რომ ნახეს, გუშინდელი გამარჯვებით გულმოცემულებმა, ქალაქის კარი გააღეს და მტერს გაფორებით ეკვეთნენ.

იმ დღეს უკვე ბოცო ჯაყელი მეთაურობდა მტერზე, მისულ ქართველებს. ხვარაზმელებმა ბრძოლა მიიღეს.

მტრის ჯარს საზრიანად და მოფიქრებულ მოქმედებაზე ეტყობოდა, რომ ქართველების" გამოხდომა მისთვის გუშინდელივით მოულოდნელი არ იყო. ყიასედინი მტერს ეკვეთა, მაგრამ ხელჩართულ ბრძოლაში ვერ ბედავდა. ნელ-ნელა დაიხია და წათამამებული მტერიც მდევრად წაიყოლა.

ქართველები ყიკინითა და ვაშას ძახილით მიდევნენ მოსაჩვენრად ლტოლვილ მტერს. წინადღეს ხვარაზმელთა რაზმი ღამის სიბნელეშ იხსნა სრული განადგურებისაგან, დღეს ქართველებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მტრისათვის ბოლომდე ედევნათ და მათგან ერთიც აღარ გაეშვათ ცოცხალი.

ვიწრო მოსახვევთან მოულოდნელად ხვარაზმელთა ჩასაფრებული ჯარი გამოვარდა ორხანის მეთაურობით და ქარივით მიმქროლავ ქართველ ცხენოსნებს ზურგიდან დაჰკრა.

ქართველებმა საღავე მიშვებული ცხენების უცებ შეჩერება და უკან შემობრუნება ვეღარ შეძლეს. მრავალრიცხოვანი მტერი ირგვლივ ერტყმოდა მცირერიცხოვან ქართველობას და მახეში შეტყუებულებმა ახლა თავად გაიმეორეს ყიასედინის წეღანდელი ხერხი.

ბოცო ხვარაზმელთა რკალს გააფორეთით ეკვეთა, გარშემორტყმული მტრის სიმრავლე გასჭრა და ცხენი მიწას გააკრა. უკან დახევისას ქართველთა ერთმა ნაწილმა თავი სასიკვდილოდ გასწირა. მტერს ბრძოლით გადაეღობა და მთავარსარდლისა და ჯარის უდიდესი ნაწილის ლტოლვა თავისი მკერდით დაიფარა...

* * *

მხატვარი კ. მახარაძე.

ჯ. ვ. თოდრია

გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1939 წლიდან. [illegible] 1911 წელს სოფელ [illegible]ში (ყოფილი ოსურეთის [illegible]) [illegible] შედის მოსკოვის სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა დროს მუშაობდა ხარკოვისა და ტაშკენტის სამხედრო სასწავლებლებში.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დაბრუნების შემდეგ მან მუშაობა დიაწყო ამიერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტის ბეთონრმშენის სამმართველოს უფროსად. 1946 წლიდან დღემდე ქ. რუსთავში ამიერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტის სისტემაში ასრულებდა სხვადასხვა პასუხსაგებ სამუშაოს. უკანასკნელ ხანებში ჯ. ვ. თოდრია ხელმძღვანელობდა ტრესტის საწარმოო განყოფილებას.

თავისი დაუშრეტელი ენერგიით, გულისხმიერებით, მდიდარი გამოცდილებით იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ტრესტის კოლექტივში. მის მიერ გამოზრდილია არაერთი კვალიფიციური სპეციალისტი.

თავადაბალი და გულისხმიერი ადამიანის, უანგარო მუშაკის ჯ. ვ. თოდრიას ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

კვლავ საგასტროლოდ

რესპუბლიკის ერთ-ერთი პოპულარული შემოქმედებითი კოლექტივი — ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი ამ დღეებში დაბრუნდა მოძმე უკრაინაში საგასტროლო მოგზაურობიდან.

ამ მოგზაურობამ, ისევე როგორც წინა გასტროლებმა დიდი წარმატებით ჩაიარა, — განუცადა საქართველოს კორესპონდენტს ანსამბლის სამხატვრო ხელძღვანელმა, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. კავსაძემ. ორი თვის განმავლობაში ჩვენ გავმართეთ 50-ზე მეტი კონცერტი. ჩვენი ხალხის ხელოვნებას, აგრეთვე სხვა ხალხების საუკეთესო სიმღერებსა და ცეკვებს, რაც ანსამბლის რეპერტუარში შედის, გაეცნენ ოცდაათი ქალაქის მცხოვრებები. ადგილობრივმა პრესამ მრავალ გამოხმაურებასა და რეცენზიაში მაღალი შეფასება მისცა ქართველ მომღერალთა და მოცეკვავეთა ოსტატობას.

ანსამბლის კოლექტივი კვლავ ემზადება ჩვენს ქვეყანაში საგასტროლო მოგზაურობისათვის. ერთი კვირის შემდეგ გასტროლები დაიწყება აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში და გაგრძელდება თურქმენეთის, უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის რესპუბლიკებში. შემდეგ ანსამბლის კონცერტები გაიმართება რუსეთის ფედერაციის ქალაქებში.

(საქდესი).

კომუნისტი

დიდი ფეხბურთის კონტურები

დინამოელთა გაზაფხული

გუშინ ჩვენი კორესპონდენტი „დინამოს" დიდმის სასპორტო ბაზაზე ესტუმრა თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის უფროს მწვრთნელს მ. იაკუშინს.

აი რა გვიამბო მან:

დღეები შეუჩნევლად გარბის, მალე თებერვალიც მიიხურავს კარს და წლის ყველაზე სანუკვარი დრო — გაზაფხული გვიწვევს. ბუნების გამოღვიძებას თან მოჰყვება სიახლენი ცხოვრების ყველა დარგში და მათ შორის სპორტშიც.

დიახ, შესანიშნავი გაზაფხული ელენბათ წელს სპორტის მოყვარულებს, პირველ რიგში ფეხბურთის გულშემატკივრებს. ამა წარმოიდგინეთ, რამდენი განცდა, სიხარული, ოცნება მოელის თვითეულ თქვენგანს, და ყველაფერი ეს უახლოეს თვეში, 31 მარტს შეისხამს ფრთებს.

რას აკეთებენ დღეს დინამოელები, როგორია მომავლის გეგმები?

სასიხარულოა, რომ გუნდში წელსაც თვალნათლივ იგრძნობა მონოლითურობა, კოლექტივისადმი პატივისცემა, ერთსულოვნება, სწრაფვა ფეხბურთის მწვრთნელის დასაპყრობად.

მართალია, არც თუ ისე დიდი დრო, მაგრამ ზამთრის გარკვეული დღეები ჩვენი ფეხბურთელების ერთმა ჯგუფმა ბორჯომის ხეობის ულამაზეს კუთხეში — ბაკურიანში გაატარა. ვარჯიშთან ერთად აქტიურად დავისვენეთ. აქ ჩვენი მოედანი კოტეჯორის ფერდობები იყო, ხოლო ბურთი — თბილამურები.

დანარჩენები თბილისში იმყოფებოდნენ და აქ გადიოდნენ სპეციალურ ვარჯიშს. ალბათ გაინტერესებთ, როგორია წვრთნის გეგმა და სად გვექნება შეკრება. დინამოელები საკმაოდ არიან დატვირთული. ბურთით ვარჯიშთან ვახამებთ ცურვას, ტანვარჯიშს, კროსებს. ფეხბურთელები დაყოფილი არიან სამ ჯგუფად. ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი დათმობილი აქვს ბურთით წვრთნას დიღმის სპორტულ ბაზაზე, სამშაბათი განკუთვნილია ტანვარჯიშისათვის (მწვრთნელი ოგანოვი), ხუთშაბათი — საერთო ფიზიკური მომზადებისათვის, რომელსაც ვხელმძღვანელობთ მე და გუნდის მწვრთნელი სპორტის ოსტატი ა. კოტრიკაძე. შაბათობით ფეხბურთელები ეუფლებიან ცურვას (მწვრთნელი იაკობიდი), ხოლო კვირას ჩვეულებრივად ისვენებენ. ვფიქრობთ დინამოელთა წვრთნისა და დატვირთვის ეს კომპლექსური ღონისძიებანი სავსებით საკმარისია და გარკვეულ ეფექტსაც მოველით. ჩვენ იმისაკენ ვისწრაფვით, რომ გუნდი და ყოველი ფეხბურთელი სრულყოფილ სპორტულ ფორმაში იყოს, მაგრამ ისიც უნდა გვითვალისწინოთ, რომ ზედმეტი არ მოგვივიდეს, ცოტაა, — გახაგრძობდა ისევე ჩურჩულით. სპარსელი, — რომ ავჯანყდეთ, მარტო ჩვენც გავუსწორდებოდით გურჯებს მაჰმადის აღმსარებელნი. მაგრამ ჩვენი იმაში ბრძნულად მოიქცა, მიზგიზთში საქეიფოდ ქართველთა დახმარებისათვის მოეწოდა მორწმუნეებს, საიდუმლოდ კი ქართველების წინააღმდეგ დარაზმა. იძის გამო, რომ ქართველებს მცირე მეციხოვნე ჯარი ჰყავთ და იმიტომაც. რომ თბილისელმა მორწმუნეებმა შეძლეს ურწმუნოების ბოტყუება, ქართველებმა ქალაქის ერთი კარი დაცვა მაჰმადიანებს მიანდეს. ახლა თბილისის მორწმუნე მოსახლეობა შეიარაღებულია, დიდებული სულტნის პირველი შემოტევისთანავე მუსულმანები დაიერეკიან ურჯულო ქართველებს და კარს გაუღებენ ერთმორწმუნე ხვარაზმელებს.

თბილისელი სპარსელის ნაამბობით გაბარებული სულტანი ამაყად აგლეწდა თვალს იქ მყოფ ამირებს, თითქოს ეუბნებოდა, მე ყოველთვის მართალი ვარ და ალაპი მუდამ ჩემთან არისო.

ამირები თავს იქნევდნენ გაოცებისაგან და თვალს ვერ უსწორებდნენ მბრძანებლის მედიდურ ცქერას.

— საბუთი რა გაქვს, რომ მტრის მოგზავნილი არა ხარ?

უცებ იკითხა ჯალალედინმა და ყველა მოლოდინად იქცა.

ჯაშუშმა ქამარი შემოიხსნა, შარვლის სათავე შემოირღვია და ნაჭრებში მაგრად გამოკრული რაღაც საგანი ამოიღო. მერე იქიდან ოთხად დაკეცილი პერგამენტის ფაფარა ფურცელი ამოაძვრინა და სულტანს გაუწოდა. სულტანმა პერგამენტს დახედა, ირწმუნა და მდივანს გადასცა.

— საბუთი სარწმუნოა, მოამბეს მიეცით ოქრო და ტანსაცმელი. უფრო დიდ ჯილდოს თბილისის აღების შემდეგ მივანიჭებთ.— ბრძანა სულტანმა.

ჯაშუში ისევე ფეხებში ჩაუვარდა და ეთაყვანა.

მეორე დილას ჯალალედინმა ლაშქარი საომრად დაიწყო. მცირერიცხოვან ცხენოსან ჯარს თავისი ძმა ყიასედინი უთავეა და თბილისის ზღუდეებისაკენ წასწია, ხოლო მათ უკანდასახვე გზაზე უმთავრესი ლაშქარი დამაა, რათა საომრად გამოტყუებული ქართველები ხაფანგში მოექცია და გაენადგურებინა. მონგოლთა ამ სამხედრო ხერხის მსხვერპლად თავის დროზე ხვარაზმელთა რჩეული ჯარები დაცემულა, შემდეგ თვითონ ჯალალედინმაც გადმოიღო თათრების ეს ცბიერება და არაერთხელ თავად მონგოლების წინააღმდეგ წარმატებით გამოიყენა.

ყიასედინი თავისი ცხენოსანი რაზმით თბილისის ზღუდეებთან მივიდა.

ქართველები დღესაც გაფაციცებით აღევნებდნენ თვალს მტრის მოძრაობას.

ასე შორს და წინ წამოსულ ხვარაზმელთა მცირერიცხოვანი ჯარი რომ ნახეს, გუშინდელი გამარჯვებით გულმოცემულებმა, ქალაქის კარი გააღეს და მტერს გაფორებით ეკვეთნენ.

იმ დღეს უკვე ბოცო ჯაყელი მეთაურობდა მტერზე, მისულ ქართველებს. ხვარაზმელებმა ბრძოლა მიიღეს.

მტრის ჯარს საზრიანად და მოფიქრებულ მოქმედებაზე ეტყობოდა, რომ ქართველების" გამოხდომა მისთვის გუშინდელივით მოულოდნელი არ იყო. ყიასედინი მტერს ეკვეთა, მაგრამ ხელჩართულ ბრძოლაში ვერ ბედავდა. ნელ-ნელა დაიხია და წათამამებული მტერიც მდევრად წაიყოლა.

ქართველები ყიკინითა და ვაშას ძახილით მიდევნენ მოსაჩვენრად ლტოლვილ მტერს. წინადღეს ხვარაზმელთა რაზმი ღამის სიბნელეშ იხსნა სრული განადგურებისაგან, დღეს ქართველებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მტრისათვის ბოლომდე ედევნათ და მათგან ერთიც აღარ გაეშვათ ცოცხალი.

ვიწრო მოსახვევთან მოულოდნელად ხვარაზმელთა ჩასაფრებული ჯარი გამოვარდა ორხანის მეთაურობით და ქარივით მიმქროლავ ქართველ ცხენოსნებს ზურგიდან დაჰკრა.

ქართველებმა საღავე მიშვებული ცხენების უცებ შეჩერება და უკან შემობრუნება ვეღარ შეძლეს. მრავალრიცხოვანი მტერი ირგვლივ ერტყმოდა მცირერიცხოვან ქართველობას და მახეში შეტყუებულებმა ახლა თავად გაიმეორეს ყიასედინის წეღანდელი ხერხი.

ბოცო ხვარაზმელთა რკალს გააფორეთით ეკვეთა, გარშემორტყმული მტრის სიმრავლე გასჭრა და ცხენი მიწას გააკრა. უკან დახევისას ქართველთა ერთმა ნაწილმა თავი სასიკვდილოდ გასწირა. მტერს ბრძოლით გადაეღობა და მთავარსარდლისა და ჯარის უდიდესი ნაწილის ლტოლვა თავისი მკერდით დაიფარა...

* * *

მხატვარი კ. მახარაძე.

... ბრძოლა ... ბ

[illegible] 1962 [illegible] 1963 [illegible] 1964 [illegible] 1965 [illegible] 1966 [illegible] 1967 [illegible] 1968 [illegible] 1969 [illegible] 1970 [illegible] 1971 [illegible] 1972 [illegible] 1973 [illegible] 1974 [illegible] 1975 [illegible] 1976 [illegible] 1977 [illegible] 1978 [illegible] 1979 [illegible] 1980 [illegible] 1981 [illegible] 1982 [illegible] 1983 [illegible] 1984 [illegible] 1985 [illegible] 1986 [illegible] 1987 [illegible] 1988 [illegible] 1989 [illegible] 1990 [illegible] 1991 [illegible] 1992 [illegible] 1993 [illegible] 1994 [illegible] 1995 [illegible] 1996 [illegible] 1997 [illegible] 1998 [illegible] 1999 [illegible] 2000 [illegible] 2001 [illegible] 2002 [illegible] 2003 [illegible] 2004 [illegible] 2005 [illegible] 2006 [illegible] 2007 [illegible] 2008 [illegible] 2009 [illegible] 2010 [illegible] 2011 [illegible] 2012 [illegible] 2013 [illegible] 2014 [illegible] 2015 [illegible] 2016 [illegible] 2017 [illegible] 2018 [illegible] 2019 [illegible] 2020 [illegible] 2021 [illegible] 2022 [illegible] 2023 [illegible] 2024 [illegible] 2025 [illegible] 2026 [illegible] 2027 [illegible] 2028 [illegible] 2029 [illegible] 2030 [illegible] 2031 [illegible] 2032 [illegible] 2033 [illegible] 2034 [illegible] 2035 [illegible] 2036 [illegible] 2037 [illegible] 2038 [illegible] 2039 [illegible] 2040 [illegible] 2041 [illegible] 2042 [illegible] 2043 [illegible] 2044 [illegible] 2045 [illegible] 2046 [illegible] 2047 [illegible] 2048 [illegible] 2049 [illegible] 2050 [illegible] 2051 [illegible] 2052 [illegible] 2053 [illegible] 2054 [illegible] 2055 [illegible] 2056 [illegible] 2057 [illegible] 2058 [illegible] 2059 [illegible] 2060 [illegible] 2061 [illegible] 2062 [illegible] 2063 [illegible] 2064 [illegible] 2065 [illegible] 2066 [illegible] 2067 [illegible] 2068 [illegible] 2069 [illegible] 2070 [illegible] 2071 [illegible] 2072 [illegible] 2073 [illegible] 2074 [illegible] 2075 [illegible] 2076 [illegible] 2077 [illegible] 2078 [illegible] 2079 [illegible] 2080 [illegible] 2081 [illegible] 2082 [illegible] 2083 [illegible] 2084 [illegible] 2085 [illegible] 2086 [illegible] 2087 [illegible] 2088 [illegible] 2089 [illegible] 2090 [illegible] 2091 [illegible] 2092 [illegible] 2093 [illegible] 2094 [illegible] 2095 [illegible] 2096 [illegible] 2097 [illegible] 2098 [illegible] 2099 [illegible] 2100 [illegible] 2101 [illegible] 2102 [illegible] 2103 [illegible] 2104 [illegible] 2105 [illegible] 2106 [illegible] 2107 [illegible] 2108 [illegible] 2109 [illegible] 2110 [illegible] 2111 [illegible] 2112 [illegible] 2113 [illegible] 2114 [illegible] 2115 [illegible] 2116 [illegible] 2117 [illegible] 2118 [illegible] 2119 [illegible] 2120 [illegible] 2121 [illegible] 2122 [illegible] 2123 [illegible] 2124 [illegible] 2125 [illegible] 2126 [illegible] 2127 [illegible] 2128 [illegible] 2129 [illegible] 2130 [illegible] 2131 [illegible] 2132 [illegible] 2133 [illegible] 2134 [illegible] 2135 [illegible] 2136 [illegible] 2137 [illegible] 2138 [illegible] 2139 [illegible] 2140 [illegible] 2141 [illegible] 2142 [illegible] 2143 [illegible] 2144 [illegible] 2145 [illegible] 2146 [illegible] 2147 [illegible] 2148 [illegible] 2149 [illegible] 2150 [illegible] 2151 [illegible] 2152 [illegible] 2153 [illegible] 2154 [illegible] 2155 [illegible] 2156 [illegible] 2157 [illegible] 2158 [illegible] 2159 [illegible] 2160 [illegible] 2161 [illegible] 2162 [illegible] 2163 [illegible] 2164 [illegible] 2165 [illegible] 2166 [illegible] 2167 [illegible] 2168 [illegible] 2169 [illegible] 2170 [illegible] 2171 [illegible] 2172 [illegible] 2173 [illegible] 2174 [illegible] 2175 [illegible] 2176 [illegible] 2177 [illegible] 2178 [illegible] 2179 [illegible] 2180 [illegible] 2181 [illegible] 2182 [illegible] 2183 [illegible] 2184 [illegible] 2185 [illegible] 2186 [illegible] 2187 [illegible] 2188 [illegible] 2189 [illegible] 2190 [illegible] 2191 [illegible] 2192 [illegible] 2193 [illegible] 2194 [illegible] 2195 [illegible] 2196 [illegible] 2197 [illegible] 2198 [illegible] 2199 [illegible] 2200 [illegible] 2201 [illegible] 2202 [illegible] 2203 [illegible] 2204 [illegible] 2205 [illegible] 2206 [illegible] 2207 [illegible] 2208 [illegible] 2209 [illegible] 2210 [illegible] 2211 [